საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 22 (42)
პარასკევი, 1 თებერვალი, 1991 წ.
ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

I. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს შემდეგ ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოებისა და უზენაესი საბჭოების“.

2. მე-6 მუხლში:

სიტყვა „საქართველოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „რესპუბლიკის“;

სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოებში“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში“;

3. მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დაუშვებელია ისეთი პარტიების, ორგანიზაციებისა და მოძრაობების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანია რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების ძალადური შეცვლა, რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მისი უშიშროებისათვის ძირის გამოთხრა, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივება“.

4. 27-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საბჭოთა“, 38-ე მუხლიდან — სიტყვა „სოციალისტური“ და 59-ე მუხლის მეორე ნაწილიდან — სიტყვა „სახელმწიფო“.

5. 46-ე მუხლში:

მე-2 ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა“;

მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 ნაწილები:

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში დეპუტატთა არჩევის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს შესაბამისი ორგანოს ტერიტორიაზე.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს უფლება აქვს არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად“.

6. მე-8 თავის სათაურიდან და 79-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საბჭოთა სოციალისტური“.

7. მე-4 კარის დასათაურებაში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოები“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები“, ხოლო მე-10 თავის სათაურში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ — სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“.

8. 85-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, თემის, დაბისა და სოფლის საკრებულოები შეადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების სისტემას“.

9. 86-ე მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების უფლებამოსილების ვადა 5 წელია, ხოლო საკრებულოებისა — 3 წელი“;

მე-2 და მე-3 ნაწილებში სიტყვები „ადგილობრივ საბჭოებში სახალხო დეპუტატთა“ შეიცვალოს სიტყვებით „საკრებულოებში დეპუტატთა“.

10. 87-ე მუხლში:

პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდება შესაბამისად უზენაესი საბჭოებისა და საკრებულოების სესიებზე.

უზენაესი საბჭოები ირჩევენ უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეებს, ხოლო საკრებულოები — მდივნებს. უზენაეს საბჭოებს აქვთ თავიანთი პრეზიდიუმები“;

მე-3 ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოები“ შეიცვალოს სიტყვებით „უზენაესი საბჭოები“;

მე-4 ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“.

11. 88-ე მუხლში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოები“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები“.

12. 89-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები უშუალოდ და მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობენ თავიანთ ტერიტორიებზე სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა სფეროს, იღებენ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ მათ შესრულებას, კონტროლს უწევენ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებას“.

13. 90-ე მუხლში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“, „საბჭოების“, „სახალხო დეპუტატთა საბჭოები“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“, „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები“, ხოლო სიტყვა „კოლექტიური“ — სიტყვით „კოლეგიური“.

14. 91-ე, 92-ე, 93-ე, 94-ე, 95-ე, 96-ე, 97-ე მუხლებიდან და მე-12 თავის სათაურიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სახალხო“.

15. 92-ე მუხლში:

მე-2 ნაწილში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვით „საკრებულოების“;

მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე არ შეიძლება ერთდროულად იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორზე მეტი ორგანოს წევრი“;

მე-4 ნაწილში სიტყვები „ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უწყებათა“ შეიცვალოს სიტყვებით „საკრებულოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობაში, გარდა გამგეობის თავმჯდომარისა (გამგებლისა), პრეფექტურის უწყებათა“; სიტყვებს „გენერალური პროკურორი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „მისი მოადგილეები“; სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“.

16. 99-ე მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დეპუტატები ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში“;

მე-2 ნაწილში სიტყვები „საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების“ და „ამ ორგანოების“.

17. მე-100 და 101-ე მუხლებში სიტყვები „ადგილობრივი საბჭოს“ და „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს“ შეიცვალოს სიტყვით „საკრებულოს“.

18. 103-ე მუხლში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოს“ და „საბჭოს“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს“.

19. 104-ე მუხლში:

მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მეწყვეტს საკრებულოების უფლებამოსილებას“;

26-ე პუნქტში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის საკრებულოების“;

27-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნებს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობას, ნიშნავს საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნებს“.

20. 111-ე მუხლსა და 119-ე მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვებით „რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოების“.

21. 113-ე მუხლში:

მე-4 პუნქტში სიტყვა „დეპუტატებს“ შეიცვალოს სიტყვით „წევრებს“;

მე-5 პუნქტში სიტყვები „ადგილობრივი საბჭოების“ შეიცვალოს სიტყვით „საკრებულოებში“;

მუხლს დაემატოს შემდეგი პუნქტები:

„19) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს პრეფექტს;

20) აუქმებს პრეფექტის განკარგულებებსა და ბრძანებებს“.

22. 115-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს სიტყვები „ხოლო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს — პრეფექტის თანამდებობაზე დასანიშნად“.

23. 118-ე მუხლში:

ა) მე-3 ნაწილში სიტყვების „სესიებს შუა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და სესიის სხდომებს შუა“;

ბ) ამავე ნაწილს დაემატოს სიტყვები „გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უზენაესი საბჭოს წევრი დაკავებულ იქნა დანაშაულის ჩადენის ადგილზე“.

24. 128-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აქვს უფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე პრეფექტების განკარგულებებისა და ბრძანებების შესრულება“.

25. 135-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ შეაჩერონ პრეფექტების განკარგულებები და ბრძანებები“.

26. მე-17 თავი დასათაურდეს შემდეგნაირად: „სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები“.

27. 138-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საკრებულოები წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფო ინტერესებისა და საკრებულოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ინტერესების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე. მონაწილეობენ რესპუბლიკური და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხების განხილვაში, შეაქვთ მათ შესახებ წინადადებანი“.

28. 137-ე, 138-ე, 139-ე, 140-ე, 141-ე და 154-ე მუხლებში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოები“ და „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები“ შეიცვალოს სიტყვით „საკრებულოები“, ხოლო 140-ე და 141-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის“.

29. ამოღებულ იქნეს: 140-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 141-ე მუხლის პირველი ნაწილი, მეორე ნაწილის მე-2 წინადადება და მე-3 ნაწილი; 143-ე და 144-ე მუხლები — მთლიანად.

30. 142-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საკრებულოსა და მისი ორგანოების უფლებამოსილებასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს კანონი ადგილობრივი მმართველობის შესახებ და მის საფუძველზე შემუშავებული რეგლამენტი, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი პრეფექტი“.

31. მე-18 თავი დასათაურდეს შემდეგნაირად:

„სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები“.

32. 145-ე, 146-ე, 147-ე, 148-ე, 149-ე და 150-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი 145.** რაიონსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოა პრეფექტურა, რომელსაც პრეფექტი მეთაურობს, ხოლო ქალაქებში, ქალაქის რაიონებში, თემებში, სოფლებსა და დაბებში — გამგეობა ან განმგებელი.

მუხლი 146. პრეფექტი რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების უმაღლესი თანამდებობის პირია.

პრეფექტი ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინაშე, ხოლო გამგეობა და განმგებელი — შესაბამისი საკრებულოს და პრეფექტის წინაშე.

პრეფექტის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს პრეფექტად არა უმეტეს ზედიზედ ორი ვადისა.

მუხლი 147. სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას შესაბამის ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ზემდგომი ორგანოების და საკრებულოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

მუხლი 148. თავისი კომპეტენციის ფარგლებში პრეფექტი გამოსცემს განკარგულებებსა და ბრძანებებს, ხოლო გამგეობა (განმგებელი) იღებს გადაწყვეტილებებსა და გამოსცემს განკარგულებებს.

მუხლი 149. პრეფექტს უფლება აქვს გააუქმოს შესაბამისი საკრებულოების, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ქვემდგომი ორგანოების აქტები, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას.

მუხლი 150. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სტრუქტურას და ქვედანაყოფების შექმნის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა“.

33. ამოღებულ იქნეს 151-ე მუხლი.

34. 176-ე მუხლში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების“.

II. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელმაც მოისმინა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თ. სიგუას მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურის შესახებ, აღნიშნავს, რომ მოხსენებაში ასახული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის რაციონალურად გაძღოლის რადიკალური რეფორმა მოიცავს მართვის ორგანოების საქმიანობის ყველა სფეროს.

უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ ამგვარი სისტემა უზრუნველყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სოციალური სფეროს განვითარების რეალურ დაჩქარებას, დინამიზმს, ხელს შეუწყობს ეკონომიკური კანონიერებისა და მეთოდების გამოყენებით სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. ძირითადად მოწონებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურა.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სახალხო მეურნეობის მართვის ძირითადი მიმართულებების საბოლოო დამუშავებისას გაითვალისწინოს უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები.

3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მოქმედ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები და დამატებები წარმოადგინოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. არჩეულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებად:

გრიგოლ გრიგოლის ძე დევდარიანი
ჯიმი კონსტანტინეს ძე ყიფიანი

2. არჩეულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრებად:

ალექსანდრე ვახტანგის ძე ალადაშვილი, ჯამლეთ გიორგის ძე ბაბილაშვილი, თეიმურაზ ბესარიონის ძე ბაქრაძე, გივი ივანეს ძე ბახტაძე, ორდე სარდიონის ძე ბებია, კარლო როსტომის ძე ბზიშვილი, ლენგერ ამბროსის ძე ბოჭორიშვილი, მადონა ტიტეს ასული გოგელია, მურთაზ არჩილის ძე გულედანი, მირზა ამირანის ძე დოლიძე, ვალერიან ალექსანდრე ძე ედიშერაშვილი, ვახტანგ ვალერიანის ძე თორდიაჲ, კურბან ჰასანის ძე ისაევი, ლამარა პარმენის ასული ისაკაძე, ჯემალ ლევანის ძე ლეონიძე, გურამ სიმონის ძე ლილუაშვილი, ივანე შალვას ძე ჟორდანია, ლეონიდე მიხეილის ძე საყვარელიძე, ვალერიან ივანეს ძე საძაგლიშვილი, იური პავლეს ძე ტაბუცაძე, იური ილიას ძე ტყეშელაშვილი, მზექალა ბეწინიკას ასული ქარსელაძე, ლეილა სერგოს ასული ქაჯაია, ალექსანდრე არსენის ძე ღულუნიშვილი, თამარ სოლომონის ასული ყრუაშვილი, რუსუდან აგაბოს ასული შველიძე, გიორგი ბულიას ძე ხაბულიანი, დარიკო ავთანდილის ასული ხელაია, რამაზ ვასილის ძე ხმალაძე, ადელინა ივანეს ასული ხონიაკინა, ვალერიან თენგიზის ძე ხრუსტალი, რამაზ არჩილის ძე ხუნწარია, ჯუდუ ვარდენის ძე წაქაძე, ნოე ალექსის ძე წიქორიძე, ავთანდილ ვლადიმერის ძე წულუკიანი, თამარ ჭიჭიკოს ასული ჩიქოვანი, გივი სტეფანეს ძე ცირამუა, ჯემალ შალვას ძე ცისკარიშვილი, ოთარ ალექსანდრეს ძე ჯიბლაძე.

3. „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლოს წყობილების შესახებ“ კანონის 58-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეები.

4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მსაჯულების არჩევა მოხდეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის 1991 წლის მარტის სხდომაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დამტკიცების შესახებ

„**საქართველოს** რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 28 დეკემბრის კანონის 62-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი 11 წევრის შემადგენლობით:

პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მინდია გურამის ძე უგრეხელიძე — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

პრეზიდიუმის წევრები:

ვაჟა ბორისის ძე აბაკელია — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

გრიგოლ გრიგოლის ძე დევდარიანი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

ჯიმი კონსტანტინეს ძე ყიფიანი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

ჯამლეთ გიორგის ძე ბაბილაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

ორდე სარდიონის ძე ბებია — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

გურამ სიმონის ძე ლილუაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

ივანე შალვას ძე ჟორდანია — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

ადელინა ივანეს ასული ხონიაკინა — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

ალექსანდრე არსენის ძე ღულუნიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

თამარ სოლომონის ასული ყრუაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკაში რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ

„**საქართველოს** რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 72-ე მუხლისა და „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები დაინიშნონ 1991 წლის თებერვალ-მარტში.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოებს ამ დადგენილების საფუძველზე დააწესონ ავტონომიური რესპუბლიკის, რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნის ვადა.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ჩაატაროს შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევად და წარსადგენად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულთა არჩევნების შესახებ

„**საქართველოს** რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 72-ე მუხლისა და „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. ჩატარდეს საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულთა არჩევნები 1991 წლის თებერვალ-მარტში.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოებს მიიღონ შესაბამისი დადგენილებები მსაჯულების არჩევნებთან დაკავშირებით.

3. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შეიმუშაონ შესაბამისი ღონისძიებანი ამ დადგენილების შესასრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.

გასწორება

„**სსრ** კავშირში კოოპერაციის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 30 იანვრის დადგენილების პირველი მუხლი უნდა იკითხებოდეს:

1. შეჩერდეს „სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე კოლმეურნეობათა ქონების ნებაყოფლობით დაზღვევის ნაწილში.

ინფორმაციაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის ამა წლის 29 იანვარს გამართული სხდომის მუშაობის პირველი დღის შესახებ დაშვებულია უზუსტობა. კამათის მონაწილეთა შორის მოხსენიებული ვახტანგ ჭითავას ნაცვლად უნდა იკითხებოდეს ლეო ჩიქავა.

საკუთარ სახლში

პროტესტს აცხადებენ მედიკოსები

მტკიცე პროტესტი ცენტრის ცდების წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს „წესრიგის დამყარების“ მიზნით შეაჩეროს ამჟამად მიმდინარე დემოკრატიული პროცესები, გამოხატეს საქართველოს მედიკოსებმა, რომლებიც 31 იანვარს შეიკრიბნენ თბილისში მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგზე.

მიკროფონთან ერთმანეთს ცვლიდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები მანანა ძოწიშვილი, ზაზა კახიანი, ნინო ჯავახიშვილი, თეიმურაზ ქორიძე, თამარ დეკანოსიძე, თამაზ ყურაშვილი, ყველაზე ჰუმანური პროფესიის სხვა წარმომადგენლები, რომლებმაც დაგმეს ორი მინისტრის — სსრ კავშირის თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრების ბრძანება და პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის ბრძანებულება, — რესპუბლიკების დედაქალაქებსა და საოლქო ცენტრებში მილიციის მუშაკებისა და სამხედრო მოსამსახურეების ერთობლივი პატრულირების შესახებ. ჩვენი ცხოვრების ამგვარი რეგულირება და ფაქტობრივად საგანგებო წესების ელემენტების შემოღება, ხაზგასმით აღნიშნავდნენ ორატორები, მიუღებელი და უკანონო ღონისძიებაა. უკვე ყველამ კარგად ვიცით, რა მოჰყვება არმიის ჩარევას. ამის დასტურია თბილისში 9 აპრილს და სულ ახლახან ბალტიისპირეთში მომხდარი ტრაგიკული ამბები. კმარა! ამგვარი რამ არ უნდა განმეორდეს — ასეთი იყო მიტინგის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი, რომლებმაც მოითხოვეს პროვოკაციული გადაწყვეტილებების გაუქმება, რომლებიც სამხედრო დიქტატურის დადგომის წინა „უვერტიურას“ გვაგონებს.

დღეს, როცა დასავლეთში ყველაზე მტკიცე ოპტიმისტებსაც კი არა აქვთ ილუზიები „გარდაქმნის“ გამო, დარწმუნდნენ კრემლის განზრახვაში იმოქმედოს ძალისმიერი, და არა ცივილიზებული მეთოდებით; თითოეული ჩვენგანი, ითქვა მიტინგზე, უნდა გაიმსჭვალოს პასუხისმგებლობის, სოლიდარობის შეგნების გრძნობით, რათა არ დავუშვათ სამხედრო დიქტატურის დადგომა; ყველას ვალია შეკავშირდეს პარტიული კუთვნილების, სარწმუნოების და ეროვნების მიუხედავად, იყვნენ ერთად დემოკრატიის მაღალი იდეალების საკეთილდღეოდ.

ზურაბ ბრძოლიშვილი,
საქინფორმის კორ.

მდგომარეობა ცხინვალში

30 იანვრის დილიდან 31 იანვრის დილამდე ქალაქ ცხინვალში მდგომარეობა წინა დღეებთან შედარებით სტაბილური იყო. არც დღისით, არც ღამით არ ყოფილა სროლა. შეწყდა ხანძრები, რაც ასე ხშირი იყო ამ უკანასკნელ ხანებში. 31 იანვრის ღამით ხანძარი გაჩნდა მხოლოდ ერთ სახლში, რომელიც დროულად ჩააქრეს.

29 იანვარს ზნაურის რაიონის სოფელ ავნევში მივიდა სამხედრო მოსამსახურეების ორი ჯავშანტრანსპორტიორი. მათ ავტომატის და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს საშუალო სკოლისა და კოლმეურნეობის კანტორის შენობებს. დაიჭრა საქართველოს მილიციის თანამშრომელი, სახელმწიფო ობიექტების დაცვის ლეგიონის მილიციელი ბადრი ბესელაშვილი.

მომხდარი ინციდენტის გამოძიებას აწარმოებს სამხედრო პროკურატურა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

შიდა ქართლი — იმპერიული ჟურნალისტიკის დეზინფორმაცია გრძელდება

ძველი სცენარით ახალი მიზნის მისაღწევად

ჩვენს არეულ დროში, არეულ საბჭოთა კავშირში დეზინფორმაციით, ფაქტებისა და მოვლენების ცალმხრივი, მიკერძოებული გაშუქებით ვერავის გააკვირვებ. მით უმეტეს ვერ გააკვირვებ ქართველ მკითხველს, რადიომსმენელსა და ტელემაყურებელს, რომელიც უკვე კარგა ხანია მიეჩვია ცენტრალური საინფორმაციო საშუალებებიდან ერის ღირსების შემლახავი, მისი ისტორიის გაყალბების, საქართველოსა და ქართველებისადმი მტრობისა და სიძულვილის გაღვივების რეციდივებს. ასე იყო იმპერიული ძალების მიერ 1989 წლის 9 აპრილის ღამეს მოწყობილ სასაკლაომდე, ასეა მის შემდეგაც.

იმპერიული ძალა ამგვარ დეზინფორმაციასა და იდეოლოგიურ დივერსიას წინათ თუ წყლის ამღვრევისათვის იყენებდა, ახლა, ეტყობა, უფრო შორს მიმავალი მიზნებისათვის აქვს გათვალისწინებული. ამ დღეებში უხეში სამხედრო ძალით ბალტიის ქვეყნების ხელმეორე ანექსიასაც ხომ წინ უძღოდა საკავშირო პრესით, რადიოთი და ტელევიზიით ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მკვიდრი მოსახლეობის ანათემაზე გადაცემა, ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის დისკრედიტაცია, ე. წ. რუსულენოვანი მოსახლეობის, სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების დაჩაგრულებად და უფლებააყრილებად წარმოჩენა, მათი დაპირისპირება ადგილობრივ მოსახლეობასთან და მთავრობასთან.

ამ უკვე გაცვეთილ, მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგიანი სცენარით ვითარდება მოვლენები საქართველოს მიმართაც. იმპერიულ ძალებს ამჯერადაც სამიზნედ გამხდარი ჰყავთ ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი ქართველი ხალხი და მის მიერ არჩეული პარლამენტი. მაგრამ რაკი საქართველოში ვერ შესძლეს ვერც ინტერფრონტის შექმნა, აქაურ „რუსულენოვან" მოსახლეობას ვერ ათქმევინეს პირისა და ლხინის მათთან გამზიარებელი ქართველების ძვირი, ჯერჯერობით ვერ შესძლეს ეროვნული ხსნის კომიტეტის შექმნა, ამ უწესო თამაშში მთავარ კოზირად ე. წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტებსა და ექსტრემისტებს იყენებენ.

იმპერიულმა ძალებმა სწორედ მათ გადააფარეს საკავშირო პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მზრუნველი კალთა, რომლებიც თავს არ იწუხებენ საზოგადოებრიობას გააგებინონ ამ რეგიონში შექმნილი კონფლიქტური მდგომარეობის ნამდვილი მიზეზი, ის, რომ დესტრუქციულმა ძალებმა მიზნად დაისახეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, სამაგიეროდ, ყოველნაირად ცდილობენ აგრესორად, მჩაგვრელად წარმოადგინონ ქართველი ხალხი, მისი პარლამენტი, ხოლო საქართველოს მილიცია — მშვიდობიანი ოსი მოსახლეობის დამრბევად.

გულდასაწყვეტია, რომ ამ სათაკილო საქმეში კარგად გაწაფულ საკავშირო ტელევიზიას, გაზეთებს „პრავდას" და „კრასნაია ზვეზდას" მხარში ამოუდგნენ „კომსომოლსკაია პრავდა" და „მოსკოვსკიე ნოვოსტი", რომელთა ფურცლებიდანაც ამ ბოლო ხანებამდე გვესმოდა ხმა სიმართლისა.

აბა სხვანაირად როგორ გავიგოთ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" 25 იანვრის პუბლიკაცია «Сектор обстрела», რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ ცხინვალში საქართველოს მილიციას ტერორიზებული ჰყავს ადგილობრივი მოსახლეობა, საშუალებას არ აძლევს მას სასაფლაოზე დაკრძალოს მიცვალებულები, რომ მილიციელებმა სცემეს დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარეს ვ. ჩოჩიევს, რომელიც ქალაქის სამხედრო კომენდანტთან გენერალ გ. კვანტალიანთან მიდიოდა დაკრძალვასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად. კორესპონდენტი მრავალმნიშვნელოვნად შენიშნავს:

«Страшно если Цхинвали превротится в огромное кладбище».

ადვილი მისახვედრია, რა ზემოქმედებას მოახდენს ნორმალურ ადამიანზე ეს არაჰუმანური, ბარბაროსული მოქმედება, რომლის ანალოგი მხოლოდ „ენკავედეს" სისხლიან ბიოგრაფიაში შეიძლება ამოიკითხოთ.

ბუნებრივია, გაზეთში მოტანილი ფაქტის თაობაზე ვკითხეთ ქალაქის კომენდანტს, მილიციის გენერალ-მაიორს გივი კვანტალიანს.

— სასაფლაოზე მიცვალებულის დასაფლავებაზე არავისათვის უარი არ გვითქვამს. რაც შეეხება მილიციის მუშაკების მიერ ვ. ჩოჩიევის ცემის ფაქტს, ასეთი რამ ჩემთვის ცნობილი არ არის, — გვითხრა გ. კვანტალიანმა.

მან აღნიშნა აგრეთვე, რომ მისთვის ცნობილი არ არის მილიციის თანამშრომლების მიერ კორესპონდენტის ცემის, მათთვის ფოტოაპარატების წართმევის, ფირის გაშუქების ფაქტები, რომლებიც გაზეთ „პრავდის" 21 იანვრისა და გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" 20 იანვრის ნომრებშია აღნიშნული. ჭირს კომენდანტის ნათქვამში ეჭვის შეტანა, თუნდაც იმ მარტივი ლოგიკის გამო, რომ თუ ასეთი რამ მოხდა, დაზარალებულს პირველ რიგში კომენდანტისათვის ან ქ. ცხინვალში განლაგებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარების ნაწილის მეთაურებისათვის, საქართველოს და საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრებისათვის უნდა მიემართა ზომების მისაღებად.

სინამდვილეში, არც ერთ „დაზარალებულს" არ მიუმართავს არც კომენდანტისათვის, არც ჩვენი და არც საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი პრესცენტრისათვის. ეს დამიდასტურა ამ პრესცენტრის ხელმძღვანელმა ალექსანდრე როსტოვცევმა, რომელიც სხვათაშორის, ერთ-ერთი „დაზარალებული" კორესპონდენტის ანდრეი კოლესნიკოვის კორესპონდენციაში არის მოხსენებული, როგორიც ერთ-ერთი მისი მეგზური. რაიმე სერიოზული რომ ყოფილიყო, ეჭვი არავის შეეპაროს, კორესპონდენტი უთუოდ შესჩივლებდა მას თავის გულისტკივილს.

მითუმეტეს, რომ საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი პრეს-ცენტრი და შინაგანი ჯარების სპეციალური პრეს-ჯგუფი, კარგად უბამენ მხარს ცენტრის მითითებას და ცალმხრივ, ზოგჯერ დემაგოგიურ ინფორმაციას აწვდიან ცენტრალურ საინფორმაციო საშუალებებს.

მაგალითად, საკავშირო ტელევიზიამ და რამდენიმე ცენტრალურმა გაზეთმა საზოგადოებრიობას ამცნეს მათ მიერ გადაცემული ინფორმაციები, თითქოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობაში განხეთქილებაა, ზოგიერთი მათგანი შეცდომად თვლის მილიციის დამატებითი ძალების ცხინვალში შეყვანას, ცხინვალის ცენტრში დააჯირითებდნენ სატვირთო ავტომანქანას, რომელზეც საქართველოს ეროვნული დროშა იყო აღმართული და ავტომატს უშენდნენ მოსახლეობას.

როცა მონაჭორის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრმა პრეტენზიით მიმართა საკდესსა და ცენტრალურ ტელევიზიას, გვითხრეს, ჩვენი რა ბრალია, ვინც ინფორმაცია გადმოგვცა, იმას მოჰკითხეთო. ჩვენც მოვკითხეთ, მაგრამ რა გამოვიდა? ამხანაგმა ა. როსტოვცევმა მითხრა, ასეთი რამ ჩვენ არ გადაგვიციაო. ნათქვამზე რომ შემდეგ უარი არ ეთქვა, მე ვუთხარი: საწინააღმდეგო ხომ არ გექნება, თუ ამის შესახებ პრესაშიც იტყვი მეთქი. კარგიო, საქართველოს რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა ა. როსტოვცევის ეს განცხადება, საქართველოს დეპეშათა სააგენტომ ეს ცნობა გადასცა საკდესსაც, მაგრამ რა გამოვიდა, არც საკავშირო ტელევიზიამ, არც გაზეთებმა კრინტი არ დაძრეს ამის თაობაზე.

ცოტა ძნელია გაიგო, ვინ არის დეზინფორმაციის ავტორი, კაცი, რომელმაც გადათქვა თავისი ნამოქმედარი, თუ ის ძალები, რომლებიც გარედან არ ჩანან და შიგნიდან ღრღნიან სიმართლის ყლორტებს.

ცალკეული პიროვნებები, რომლებიც საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ჯგუფის სამსახურის ეგიდით მოქმედებენ, ყოველთვის გულწრფელნი და მიუკერძოებელნი როდი არიან.

„მოსკოვსკიე ნოვოსტის" 20 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული ა. კოლესნიკოვის სტატიაში ასეთი ეპიზოდია: კორესპონდენტი გორიდან ქალაქ ცხინვალში მიემგზავრება. ცხინვალის მისადგომებთან მას თურმე დაუნახავს პიკეტი. მისი თანამგზავრი პოდპოლკოვნიკი მიხეილ სლობკო უხსნის: — ესენი არაფორმალები არიან, ესენი კი მილიცია.

ჯერ ერთი იმ პერიოდში, როცა პატივცემული კორესპონდენტი ცხინვალში ჩავიდა, გორიდან ცხინვალამდე არავითარი პიკეტები არ ყოფილა, მხოლოდ კარალეთის პოსტზე აკონტროლებდნენ ავტომანქანებს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკები. მეორეც, მიხეილ სლობკო სსრ კავშირის შინაგანი ჯარების მოსამსახურეა. ჯარის ნაწილები კი ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონებშია დისლოცირებული. ამიტომ, მიხეილ სლობკო არ გამოდგება საგანგებო რაიონის ტერიტორიის გარეთ, გზაზე მომავალი პიროვნებების ამომცნობ ექსპერტად.

თანაც, სერიოზული საფუძველი მაქვს ეჭვი შევიტანო მის ობიექტურობაში. იგი შინაგანი ჯარების ნაწილის ოპერატიული ჯგუფის წევრია და, როგორც მან მითხრა, ევალება პრესასთან ურთიერთობა. ცხინვალში მთელი ორი კვირის მანძილზე ვხვდებოდით ერთმანეთს. გამაოცა მისმა სალდაფონურმა ქედმაღლობამ, დაუფარავმა ცინიზმმა და საქართველოსადმი სიძულვილმა, რომელიც მას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. ასეთი ადამიანი, გასაგებია, როგორ მეგზურობას გაუწევს საქართველოში ჩამოსულ კორესპონდენტს, რა ინფორმაციას მიაწვდის მას.

ალბათ ასეთი მეგზურის წყალობითაც სტატიის რუბრიკაშივე გამოხატეს თავისი პოზიცია ავტორმა და „მოსკოვსკიე ნოვოსტის" რედაქციამ: „საქართველო — სამხრეთ ოსეთი". ვითარებაც ისეა წარმოდგენილი, თითქოს ერთმანეთს ეომება ორი სახელმწიფო — საქართველო და სამხრეთ ოსეთი. ტორეზ კულუმბეგოვი დასახელებულია როგორც უკვე იურიდიულად აღიარებული და დაკანონებული სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების კომენტარისათვის ავტორი მიმართავს ხუთ პიროვნებას, რომელთაგან არც ერთი არ არის საქართველოს მილიციის, ან ოფიციალური, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელი. ასე რომ არ გაეკეთებინა, დარწმუნებული ვართ, თითიდან გამოწოვილი ბევრი მისი ბრალდება საპნის ბუშტივით იქვე გასკდებოდა. იმ ხუთი კაციდან, ვისაც ავტორი გაესაუბრა, მხოლოდ ერთია ქართველი. თანაც ცოტა არ იყოს საეჭვოა, რომ იგი რეალური პიროვნებაა. რადგან ავტორი არ ასახელებს მის სახელს, გვარი „ამგელაშვილი" კი მგონი საერთოდ არ არსებობს. თანაც ეს ამგელაშვილი ამბობს: სატელეფონო კვანძში შემოჭრილ ქართველ მილიციელებს რუსულად მივმართე, რა გინდათო. პასუხად კი კედელთან მიმაყენეს და ავტომატი მომადეს საფეთქელთანო.

საოცარია, თუ ის ადამიანი ქართველია, ქართველი მილიციელისათვის რატომ უნდა მიემართა რუსულ ენაზე?

ასეთ ალოგიკურობას ავტორი არად დაგიდევს, რადგან მას უფრო ღრმა აზრი აქვს ამ ფაქტში ჩადებული: ხალხო, შეხედეთ, ქართული მილიცია მარტო ოსებს კი არა, ქართველებსაც არ ინდობს. ცენტრალური პრესის წარმომადგენლები რატომღაც გვერდს უვლიან იმ ფაქტს, რომ საქართველოს მილიციის დამატებითი ძალები ცხინვალში ჩავიდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ექსტრემისტებმა სისტემატურად დაიწყეს მილიციის მუშაკებზე თავდასხმა. მათი მძევლად აყვანა, იარაღის წართმევა; არც ერთ კორესპონდენტს არ უნდა აღიაროს ის ფაქტი, რომ მილიციას არასოდეს პირველს არ დაუწყია სროლა, იგი იძულებულია საპასუხო ცეცხლი გაუხსნას რაკეტებით, ყუმბარატყორცნებით შეიარაღებულ თავდამსხმელებს. არც ერთ კორესპონდენტს არ დაუსვამს კითხვა, როგორ მოხვდა ექსტრემისტების ხელში საბჭოთა არმიის შეიარაღებაში არსებული იარაღი?

ა. კოლესნიკოვი სისხლის სამართლის დანაშაულშიც კი დებს ბრალს საქართველოს მილიციის მუშაკებს. თითქოს ისინი ძარცვავდნენ მაღაზიებს, ანგრევდნენ ადმინისტრაციულ შენობებს, ავტობუსებს, ტროლეიბუსებს. საოცარია ასეთი მტკნარი ტყუილი. არც ერთი ავტობუსი და ტროლეიბუსი ქართველ მილიციელებს არ დაუზიანებიათ. სამაგიეროდ, ა. კოლესნიკოვს ქალაქის ცენტრში შეეძლო ენახა ექსტრემისტების მიერ ავტომატის ტყვიებით დაცხრილული ავტობუსი, რომელშიც ქართველი მილიციელები ისხდნენ, მას შეეძლო ენახა აგრეთვე ექსტრემისტების გამოსროლილი რაკეტით კედლებშენგრეული ყოფილი პარტიის, საოლქო კომიტეტისა და უნივერმაღის შენობები. რაც შეეხება მაღაზიის გაძარცვას, მსგავსი ფაქტი მართლაც იყო, ოღონდ ისე არა, როგორც კოლესნიკოვს უამბეს.

ქალაქის კომენდანტმა გ. კვანტალიანმა გვითხრა: ერთ-ერთი პურის მაღაზიიდან მილიციას ესროდნენ, მილიციელები შეიჭრნენ მაღაზიაში მათ დასაკავებლად. ამ ფაქტის გადამოწმება ა. კოლესნიკოვს ცხინვალშივე შეეძლო. მაგრამ, რატომღაც ცენტრალური გაზეთების კორესპონდენტები თავს არიდებენ კომენდანტთან ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრის წარმომადგენლებთან შეხვედრას, ფაქტების მათთან გადამოწმებას. არც ერთი ზემოთ დასახელებული წერილის ავტორს საჭიროდ არ ჩაუთვლია ჩვენთან კონტაქტის დამყარება.

ასე რომ მოქცეულიყო გაზეთ „კომერსანტის" კორესპონდენტი, არავითარ შემთხვევაში არ დაწერდა იმას, თითქოს ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით „ნეიტრალურ ტერიტორიაზე" — ვლადიკავკაზში — გაიმართა კონფლიქტში მონაწილე ორი მხარის შეხვედრა. ჯერ ერთი, ვლადიკავკაზი არავითარი ნეიტრალური ტერიტორია არ არის, და მეორეც, რაც მთავარია, ასეთი შეხვედრა საერთოდ არ გამართულა.

რომელ ნეიტრალიტეტზე შეიძლება ლაპარაკი, როცა „პრავდის" კორესპონდენტმა ა. გრაჩოვმა არც კი იკადრა საქართველოში ჩამოსვლა და ვლადიკავკაზიდან, ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ახსარბეკ გალაზოვის პირით შემოგვითვალა სამდურავი და მუქარა.

გულდასაწყვეტია, რომ ხუთი წლის წინ გამოცხადებული დემოკრატიზაცია და საჯაროობა, რომელსაც პრესისათვის, რადიოსა და ტელევიზიისათვის ნამდვილი თავისუფლება უნდა მოეტანა, მითი აღმოჩნდა. პრესა და ტელევიზია კვლავ ასრულებს მმართველი აპარატის სოციალურ დაკვეთას. ბოლო ხანებში კი აშკარად ჩადგა იმპერიული ძალების შეტევის ავანგარდში. ამის დასტურია ჩვენს მიერ ზემოთ განხილული პუბლიკაციები, რომლებსაც წითელ ზოლად გასდევს იმპერიული თეზისი: გათიშე და იბატონე. ჩვენი კოლეგები ამჯერად ქართველი და ოსი ხალხების დაპირისპირებით ცდილობენ იმპერიული ძალებისათვის სამსახურის გაწევას.

საკდესის არხებით გავრცელებული რამდენიმე არაობიექტური ინფორმაციის თაობაზე იანვრის შუა რიცხვებში დავრეკე მოსკოვში, ამ საინფორმაციო სააგენტოს იმ რედაქციაში, სადაც ეს ინფორმაციები მომზადდა. რედაქციის თანამშრომელს ვიაჩესლავ ზინკოვიჩს ამ ცალმხრივი ინფორმაციების თაობაზე რომ ვუთხარი, დავუმატე:

— ჩვენ, ჟურნალისტებმა ადამიანების გულებში სიყვარულისა და ნდობის ცეცხლი უნდა დავანთოთ და არა სიძულვილისა.

სწორეაო, დამეთანხმა. თუ სწორეა არასწორად რაღაზე იქცევით, თქვე დალოცვილებო?

„კომსომოლსკაია პრავდის" კორესპონდენტმა ფ. სიზიმ 31 იანვარსაც „გაგვიხარა გული" ახალი პუბლიკაციით. მისი კორესპონდენციის გარჩევას არავითარი აზრი არა აქვს, რადგან პირველიდან ბოლო სტრიქონამდე თითიდან გამოწოვილი ცილისწამებაა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ცხინვალში იგი არ დალაპარაკებია საქართველოს მილიციის არც ერთ წარმომადგენელს, ცხინვალის არც ერთ ქართველ მცხოვრებს, არ შეგვხვედრია ჩვენ — პრესცენტრის წარმომადგენლებს.

მაგრამ მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი. 22 იანვარს, როცა ექსტრემისტებმა ყველა მხრიდან ცეცხლი დაუშინეს საქართველოს მილიციის მუშაკებს, იქვე მშვიდად მდგომი შინაგანი ჯარის ნაწილების ჯავშანტრანსპორტიორზე ავიდა მილიციის თანამშრომელი თემურ ლიპარტელიანი და სამხედროებს უსაყვედურა, რატომ არაფერს მოიმოქმედებთო. ამის პასუხად იგი ჩაათრიეს ჯავშანტრანსპორტიორში, სცემეს და გადმოაგდეს იქიდან. მერე ავტომატებიც მიუშვირეს ამ ინციდენტის გამო შეკრებილ მილიციელებს. ავტომატმომარჯვებულ ჯარისკაცთა შორის იდგა „კომსომოლსკაია პრავდის" კორესპონდენტი ფ. სიზიც.

ვლადიმერ ბოგოლაშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრიობასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მუშაობის განყოფილების უფროსი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

გაზეთი გაზეთისათვის

„ცოტა წაიმაიმუნეს..."

(ეს პუბლიკაცია ჩვენი გაზეთისათვის მოამზადა გაზეთმა „რესპუბლიკამ")

ცოტა, სულ ცოტა. თამაშ-თამაშ. ერთი გადაკისკისებისთვის.

ვითომ?

„მცირე და კნინი" უზუსტობა გააპარა „კომსომოლსკაია პრავდამ" ოცდაორსტრიქონიან ინფორმაციაში, 30 იანვარს, პირველ გვერდზე.

ისევ: ერთი წვეთი შხამი.

წაიკითხეთ:



Они не хотят превращаться в нас

Сегодня в Киев спецрейсом прибудут «беженцы» из Сухуми — 14 зеленых мартышек и 10 лапундеров. Дело в том, что обитатели знаменитого Сухумского питомника пребывают сейчас в холоде и голоде: прекращена подача электроэнергии по политическим причинам.

— Этих обезьян мы подарили коллегам из Киевского зоопарка,— сообщил директор питомника Борис Лапин.— Остальных, не дай Бог, придется выпускать в горы. Люди у нас по ночам в фуфайках спят, а обезьянам-то каково...

Последние исследования в питомнике, говорят, доказали, что обезьяны все еще могут стать людьми. Стоит ли?

М. СТОРОЖИЦКАЯ.

მიხვდით ხომ ინფორმაციის დედააზრს: საქართველოში პოლიტიკური მოტივით ეგზოტიკურ ცხოველებსაც კი ჩაგრავენ, პოლიტიკურ მიზეზთა გამო მაიმუნთსაშენს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტეს.

რა „პოლიტიკურ მიზეზთა გამო"? ვისთან, მაიმუნებთან ურთიერთობაში?! ეს ხომ სისულელეა. ამას ნებისმიერი ჰომო საპიენსი მიხვდება და გამოიცნობს. მაგრამ, აბა, ქვეტექსტს ჩაუკვირდით: სადაა ეს საშენი? სოხუმში, აფხაზეთში. დიახ. ქართველები და აფხაზები პოლიტიკურად ისე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ (დახეთ არაადამიანობას!) მაიმუნებს, ძმათა ჩვენთა უმრწემესთა ელექტროენერგიაც გამოურთეს. ვინ მოაწყო ეს ბარბაროსული აქცია ამ ახალ სპარსეთის ყურეში სოხუმის მთაზე? მათ, ვინც ფლობს ელექტროენერგიას — ქართველებმა, რასაკვირველია.

აბა, აფხაზები რას გამორთავდნენ.

ვაი, რა მწირია გონება მათი. ღმერთო, შეგცოდე და, გაადამიანურებამდე კარგა დიდი მანძილი რომ ჰქონდა გასავლელი წინაპარს ჩვენსას, იმ დროინდელი და იმ დონისაა, ბუნების იმ ლაღი არსების „აზროვნების" ატავისტური რეციდივია ინფორმაცია ესე. სხვათაშორის — ცხოველური გაბოროტებისაც.

მარტო ასე რომ იყოს...

იმავე დღეს გაზეთ „რესპუბლიკის" რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ინფორმაციაში მაიმუნების ჯიშსაშენად რომ მოიხსენიეს, ესეც ცენტრის პროვინციული ქედმაღლობა) დირექტორს, ამ აკადემიის აკადემიკოსს ბორის ლაპინს.

(ყურმილში ისმის: — თბილისიდან თხოვენ დირექტორს. — თბილისიდან? ძალიან სასიამოვნოა. ტელეფონთანაა ლაპინი).

„რესპუბლიკა": — გამარჯობათ, ბატონო ბორის. „კომსომოლსკაია პრავდაში" დღეს ინფორმაციაა თქვენი ინსტიტუტის შესახებ. თუ წაიკითხეთ?

ბ. ლაპინი: — გაგიმარჯოთ. ამ გაზეთს არ ვკითხულობ. რა ინფორმაციაა?

„რესპუბლიკა" — (ვუკითხავთ ინფორმაციას).

ბ. ლაპინი (პაუზა. ეტყობა გაიაზრა და თქვა წინადადება, რომელსაც ახლა წაიკითხავთ): — Это сволочная информация. არავინ „კომსომოლსკაია პრავდიდან" არ დამკავშირებია, არავისთან არ მისაუბრია. რა შუაშია პოლიტიკური მიზეზები? მე ძალიან კარგად მესმის, თუ რა ობიექტურ მიზეზების გამოც შეიქმნა რესპუბლიკაში მწვავე ენერგეტიკული დეფიციტი. რასაკვირველია, ჩვენც გვიჭირს.

„რესპუბლიკა": — ამიტომ გააჩუქეთ მაიმუნები?

ბ. ლაპინი: — იცით რა? ჩვენს ინსტიტუტში ექსპერიმენტებს მაიმუნებზე ვატარებთ. მათს ასაკს, ფიზიკურ მდგომარეობას და ა. შ. მეცნიერული კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; ცხოველებს, რომლებიც ამ პარამეტრებს აღარ აკმაყოფილებენ, ვყიდით ხოლმე. ასეთი წინადადებით მივმართავთ უმეტესად ზოოპარკებს, მათ შორისაა კიევისაც. კი არ გავაჩუქებთ, რადგან გვიჭირს და ვეღარ ვუვლით, არამედ ვყიდით, რადგან ჩვენ არ გვჭირდება. გამიგეთ რა განსხვავებაა?

„რესპუბლიკა": — რასაკვირველია.

ბ. ლაპინი: — თუ თქვენი გაზეთი დააპირებს პასუხის გამოქვეყნებას, შეგიძლიათ დამიმოწმოთ მე და ჩემთან საუბარი.

„რესპუბლიკა": — გმადლობთ.

• • •

„კომსომოლსკაია პრავდა" (ვერ დავუკარგავთ) აქცენტირებულად შეარჩევს ხოლმე სათაურებს, პროფესიულად. ახლაც ასე გააკეთა: „მათ არ სურთ ჩვენად იქცნენ". ეს უფრო რედაქციის „დამსახურებაა", ვიდრე ავტორის მ. სტოროჟიცკაიასი, ისევე, როგორც მორგებულად რედაქტირებული დასკვნითი აბზაცი:

„ამბობენ, ჯიშსაშენში ბოლო გამოკვლევებმა დამტკიცა, რომ მაიმუნებს კიდევ შეუძლიათ გახდნენ ადამიანები. ღირს კი?".

ალბათ არ ღირს, თავისი მსგავსი და ხატი თუ იგულისხმა მ. სტოროჟიცკაიამ.

მაგრამ: ყველაფერ ამას ხომ არა აქვს რაღაც სხვა საფანელი:

რას აპირებს „კომსომოლსკაია პრავდა?"

(გაზეთი „რესპუბლიკა")
30.01.91

P.S. ანუ დაიწყო

ისე აგიხდეთ ყოველივე კარგი, როგორც ეს შეშფოთება გაცხადდა. მეორე დღესვე, 31 იანვარს იგივე გაზეთი თავისი სპეციალური კორესპონდენტის ფ. სიზის გაბოროტებულ რეპორტაჟს აქვეყნებს ცხინვალიდან — „სახლი ფანჯრებით ომისკენ".

შხამი აქ ნახეთ! უკიდეგანო, ღვარძლი და ცინიზმი: ქართველები — მკვლელები, ბავშვებსაც არ ინდობენ. მაგრამ მხდალები, რადგან 17 წლის სანადირო თოფებიანი ბიჭები ერეკებიან შეიარაღებულ ქართველ მამაკაცებს — „მართლწესრიგის დამცველებს".

ქართველები — ვანდალები: წვავენ წიგნებს, ცეცხლს უკიდებენ სახლებს, სადაც ქართულ წიგნებს ვერ ნახულობენ.

შიმშილით კლავენ ოსებს, გადაუკეტეს ყველა სასიცოცხლო არტერია.

დაარბიეს სკოლები, თეატრი, სასამართლო, ბანკი... რაც შეიძლებოდა, ყველაფერი.

და ცილისწამება: ამოკრეფილი, ამოგლეჯილი ციტატებით, არდანახვა იმისა, რაც არ აწყობთ. მარტივი და პრიმიტიული, როგორც მალის პოლიტიკის მეთოდი. არაცივილიზებული და უგნური.

იწყებს „კომსომოლსკაია პრავდა" ახალ კამპანიას (მაგრამ უწოდებს „დიალოგს"), ცალმხრივს და ტენდენციურს, რადგან ამის ნიმუშია რეპორტაჟი „სახლი ფანჯრებით ომისკენ". ოსების სახლიდან, რომელსაც ესვრიან ქართველები. იწყება...

მაგრამ მთავარი, მაინც სხვაა და სხვა არის პროვოკაცია.

დააკვირდით: გაზეთი რეპორტაჟს აქვეყნებს 31 იანვარს. 1 თებერვალს კი ძალაში შედის სსრკ შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანება მილიციისა და ჯარის ერთობლივი პატრულირების შემოღების შესახებ.

ქართველობა ყალყზე დადგება, პატრული (იგულისხმება საეგზეკუციო ჯარები) წესრიგს დაამყარებს. მიზეზი ვიქნებით ისევ ჩვენ. ჩვენვე დაგვაბრალებენ. მაგალითი არის. მიდი და ამტიცე საწინააღმდეგო: „კომსომოლსკაია პრავდა" გინესის წიგნშია შეტანილი, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი ტირაჟის მქონე ყოველდღიური გაზეთი.

ამიტომ — ფრთხილად!

31.01.91



● 2 ● «КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА»

Дом окнами на войну

Репортаж из Южной Осетии

В Южной Осетии люди скоро перестанут бояться смерти...

...В Цхинвали в январе выпало много снега. А потом началась оттепель.

В Цхинвали в январе погибло много людей. Молодых хоронили почти всегда вместе: в школьном дворе. Вот их имена: старшина милиции Григорий Кочиев, который погиб от рук своих же грузинских коллег, беспартийный Инал Тасоев, талантливый инженер Станислав Вагиаев и такой же молодой Мурат Габоев. Это первые жертвы январских кровавых событий. Но, увы, по мере нарастания стрельбы список быстро увеличился.

Сегодня надо уберечь живых.

Все, что мне предстоит рассказать, — не художественный вымысел. У этой правды конкретные имена, даты, место. У этой правды есть свой дом.

Уже в Тбилиси, в полку внутренних войск МВД СССР, попросили не называть военнослужащих по фамилии. «Так будет безопаснее и для них, и для их семей»,— объяснили рано поседевшие капитаны. Они уже роют возле казарм окопы, а их личные автомобили словно кто-то пометил, в январе угнано десять, одна машина разбита. Приходили в гости к старшему лейтенанту. Угрожали жене.

Многих из гражданского населения, с кем довелось познакомиться за две недели в Цхинвали, я тоже назвать не могу. У этой правды, к сожалению, может быть не менее кровавое продолжение.

Когда стреляют, я пытаюсь угадать:

Калашников? Дегтярев? Крупнокалиберный?

Когда человек начинает различать тип оружия по звукам выстрелов, он по-особому понимает смысл жизни. «Осознает глубину философии через выстрелы из ВТР»,—

регут его улицу. А потом приведет их в гости согреться чаем.

Дядя Юра копит на оружие. Но денег хватит не скоро. Автомат в городе стоит от 15 тысяч и больше. Это ведь не «игрушечный» для внука. А кто-то должен защитить и этот красивый дом. И дядю Юру. И его больную жену. И дочерей. И внука. Этот пятилетний человек еще не понимает, что такое политическая ситуация.

Детям многое вообще не понять. Им говорят: «Ваш город оккупирован, здесь стреляют, а вы играете на улице в хоккей».

Я видел тринадцати-четырнадцатилетних мальчишек, которые с настойчивым упорством приходят по вечерам в пединститут к своим старшим братьям. Их гонят от пуль. Они ни в какую не уходят. Среди них есть уже убитые и раненые. Лучше бы дети пошли в школу. Но школы разгромлены. Одна сожжена. И никто сегодня не дает гарантий их завтрашнему дню. И что будет, если дети привыкнут к оружию? И — крови.

За две недели я уже примелькался. Люди подходят, здороваются. Если за ночь кто-то не убит или не ранен, то обязательно сожжено два-три дома. Такие новости.

В горисполкоме, в котором находится штаб по координации деятельности в условиях чрезвычайного положения, я видел рыдающую женщину, у которой сожгли дом, построенный еще отцовскими руками.

— А там книги прошлого века. Там Руставели, — голосила она.

А к кому-то ворвались ночью в дом, обыскивали, искали оружие, распотрошили имущество. Уходя, спросили: «Почему в доме нет грузинских книг?».

Из заявления в штаб: «Опять меня спасет мое имя, меня моя мама назвала Шал-

Этнокризисом они называют то, что мы защищаем грузин, слышите, что защищаем интересы грузинской нации и в Самачабло (Южной Осетии), что грузин давят, а мы говорим, что: эй, давай защитим грузин от осетин,— оказывается, это есть вмешательство в этнокризис. Оказывается — это национализм, слышите?

«Молодежь Грузии»,
7.09.90 г.

Какой шаг мы должны сделать на этот раз? Продолжить «войну законов» или раз и навсегда решить эту проблему так, как это диктуют законы, и в первую очередь Конституция Республики Грузия и ее национальные интересы?

Если исходить из того факта, что Грузия была захвачена в результате военной интервенции и оккупации, а Советская власть была установлена насильственным путем, то сегодня мы можем отвергнуть все юридические аргументы, приводимые в связи с созданием в Юго-Осетинской автономной области самозваной единицы, и закончить на этом.

Из выступления на сессии Верховного Совета Республики Грузия 11 декабря.

Пусть никто не питает иллюзий, что в Абхазии и Южной Осетии будут созданы какие-то особые республики и они будут отторгнуты от Грузии. Там есть автономии, и этого достаточно. А если осетины и абхазы будут продолжать сепаратистскую деятельность, то потеряют и это.

Декабрь 1990 г.
Из интервью «Московским новостям».

КОГДА ВЕРСТАЛСЯ НОМЕР

Сообщения, поступающие в оперативную группу внутренних войск МВД СССР, свидетельствуют о том, что в последние дни обстановка в Южной Осетии несколько стаби-

---

გამოხმაურება

იმპორტული აზრები ანუ

„შენ ლონდონში დასეირნობ, ჩვენ კი გვადნობს თბილისი"

30 იანვარს რადიოსადგურ „თავისუფლების" ქართულმა რედაქციამ გადმოსცა ბატონ ჯანრი კაშიას საუბარი ბატონ რამაზ კლიმიაშვილთან.

ჩემთვის, როგორც უზენაესი საბჭოს დეპუტატისთვის, ამ საუბრის მოსმენა უწინარესად იმით აღმოჩნდა საინტერესო, რომ ამჯერად ბატონმა კლიმიაშვილმა ყოველგვარი ბუნდოვანებისა და მიკიბ-მოკიბვის გარეშე გამოხატა თავისი დამოკიდებულება არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და კონგრესის მიმართ, არამედ საერთოდ საქართველოში მიმდინარე რთული პროცესებისადმიც. სხვისი არ ვიცი და, მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ბატონი რამაზ კლიმიაშვილის მცდარი წარმოდგენები ჩვენს პრობლემებზე იმით კი არ არის განპირობებული, რომ (როგორც ზოგ ჩვენგანს ეგონა!) იგი ევროპის ვარდისფერი ფანჯრებიდან სწორად ვერ აღიქვამს ჩვენს სინამდვილეს, არამედ შეგნებულად ახდენს პედალირებას მისთვის სასურველ ამა თუ იმ მომენტზე.

აქვე უნდა დავძინო, რომ, ჩემი აზრით, ბატონი ჯანრის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის იმ შეკითხვებისათვის, თავისებური ლაკმუსი რომ აღმოჩნდა რამაზ კლიმიაშვილის პოზიციების გამოსავლენად.

ბატონმა რამაზმა საუბარი იმით დაიწყო, რომ ერთბაშად საეჭვო გახადა თვით საარჩევნო კანონი, რომლის მიხედვითაც მოეწყო პირველი მრავალპარტიული არჩევნები (თანაც, ეს გააკეთა საკმაოდ უტაქტოდ).

აღნიშნა, რომ ეს კანონი იყო მეტად რთული, არადემოკრატიული, ხალხის დამაბნეველი და სხვა. რომ არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ მოქმედებს არჩევნების შერეული (პროპორციულ-მაჟორიტარული) სისტემა, ოღონდ იქვე გაკვრით დასძინა, ვფიქრობ მრგვალმა მაგიდამ ეს რაღაც მოსაზრებების გამო დაუშვაო...

რაკი ბატონმა რამაზმა სულგრძელად დაუშვა „რაღაც მოსაზრებების" შესაძლებლობა, დარწმუნებული ვარ, მშვენივრად იცის, თუ რა სტრატეგიული მიზნების გამო იყო საჭირო დღევანდელ საქართველოში სწორედ პროპორციულ-მაჟორიტარული არჩევნები, მაგრამ, ეტყობა, სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიაში არ გვეთანხმება. ეს კი ფრიად საეჭვოს ხდის მის დამოკიდებულებას ქართული ეროვნული მოძრაობისადმი.

უტაქტოს გარდა ვერაფერს ვუწოდებთ მის გამონათქვამებს იმის თაობაზე, რომ ფიზიკოსებს არ ჰქონდათ უფლება, მონაწილეობა მიეღოთ საარჩევნო კანონის შექმნაში. ესაოდა პოლიტიკა ფიზიკოსების საქმე არ არის, მათ თავიანთ ფიზიკას მიხედონო, და მეტი დამაჯერებლობისათვის გულუბრყვილოთა გასაგონად დასძინა, ეს ისევე უცნაური იქნებოდა, ჩვენ რომ ფიზიკოსების საქმეებში ჩავრეულიყავითო... მაგრამ რამდენადაც ვიცი, ბატონ რამაზ კლიმიაშვილს არასოდეს გამოუთქვამს პროტესტი პოლიტიკაში „ოდნავ" გარეული ისეთი სახელგანთქმული ფიზიკოსის მიმართ, როგორიც ანდრია სახაროვი იყო.

თავისი საუბრის ძირითადი ნაწილი ბატონმა რამაზმა დღევანდელი უზენაესი საბჭოს „დაწუნებასა" და კონგრესის „მოწონებას" მოანდომა. ეტყობა, ეს მისი პოლიტიკური მოღვაწეობის ძირითადი მისიაა. მაგრამ ამგვარი იმპორტული შეჩიჩინებით ხომ კიდევ უფრო გავაღრმავებთ იმ უფსკრულს, რომელსაც ადრე თუ გვიან როგორმე ჩვენ თვითონ ამოვავსებთ სხვის დაუხმარებლად. მისი თქმით უზენაესი საბჭოს ძირითადი მიზანი ყოფილა კონგრესის გამუდმებული ლანძღვა. უზენაესი საბჭო არ აძლევს მას მუშაობის საშუალებას! კონგრესმენთა დიდი მონდომების მიუხედავად გავურბივართ მათთან თანამშრომლობას და ა. შ. დასკვნის სახით კი გვთავაზობს შემდეგ პოლიტიკურ დიაგნოზს: კონგრესი დიდი დემოკრატიის სკოლაა, ხოლო უზენაესი საბჭო ტოტალიტარული რეჟიმის გადმონაშთების თავშესაფარი, რომელშიც, თურმე, უხეირო საარჩევნო კანონის გამო ვერ მოხვდა ვერც ერთი ინტელიგენტი (?!), და იქვე გვამშვიდებს — თუ არ ჩავთვლით კომუნისტური პარტიის სიით გასულ ინტელიგენტებსო...

აი, ასეთი გახლდათ ამ საუბრის მოკლე შინაარსი, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, არავითარ კომენტარს არ საჭიროებს.

ამირან კალაძე

საკუთარ სახლში

„ჩვენს გასაჭირს ჩვენვე მოვუვლით..."

საკავშირო ხელისუფლების გადაწყვეტილებამ მილიციისა და სამხედრო პირთა ერთობლივი პატრულირების შესახებ ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ნეგატიური დამოკიდებულება გამოიწვია. საკუთარი პოზიცია გამოხატა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომაც თავის ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ეცნო მოსახლეობას. ყოველივე ამის გათვალისწინებით რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება აღნიშნული ბრძანების მოქმედების შეჩერების შესახებ ჩვენს ტერიტორიაზე. ამ საკითხებზე აზრის გამოსათქმელად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის თანამშრომელი შეხვდა რამდენიმე ჩვენს თანამემამულეს და ესაუბრა მათ.

მარიკა ბარათაშვილი, პოეტი: ჩვენს გასაჭირს ჩვენვე მოვუვლით, არავის ჩარევა არ არის საჭირო და ამასთან დაკავშირებით სავსებით მართებულად მიმაჩნია როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საკავშირო თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრძანების მოქმედების ჩვენს ტერიტორიაზე შეჩერების შესახებ, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადებაც.

თამაზ შავგულიძე, პროფესორი: მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ქალაქებში მილიციის მუშაკებთან ერთად სამხედროთა პატრულირების შესახებ გაცემული ბრძანება არასწორად მიმაჩნია. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უნდა ემსახურებოდეს ის ორგანო, რომელიც ამ საქმისათვის არის მოწოდებული — საქართველოს მილიცია, ხაზს ვუსვამ — მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მილიცია. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება რესპუბლიკაში განლაგებული შინაგანი ჯარების ნაწილების დახმარება გამოვიყენოთ. მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ძალებით უფრო მოვაგვარებთ ჩვენს პრობლემებს, ვიდრე გარეში ძალის ჩარევით. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ამ აქციის ფსიქოლოგიური ასპექტიც, რადგან 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საბჭოთა არმიის მიმართ ხალხის დამოკიდებულება საკმაოდ უარყოფითია.

რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას აღნიშნული ბრძანების შეჩერების შესახებ, მე იგი სავსებით გამართლებულად მიმაჩნია. ჩვენში არ არის არავითარი საფუძველი იმისა, რომ წესრიგი სამხედროებმა ამყარონ. თუ დღესდღეობით საკუთარი ძალები არ გვყოფნის, ამისათვის მთავრობამ უნდა იზრუნოს — გაიზარდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა შტატების რაოდენობა, ჩამოყალიბდეს ეროვნული გვარდია, მილიციის გვერდით უნდა დაირაზმოს მთელი საზოგადოება. მოკლედ, საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოება მისივე კანონიერმა ორგანოებმა უნდა დაიცვან. ეს მოსაზრება საკმაოდ მკაფიოდ არის გამოხატული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

ზურაბ ფორაქიშვილი, პროფესორი: აბსოლუტურად გამართლებულია ჩვენი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილება სსრ კავშირის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრთა ერთობლივი ბრძანების მოქმედების შეჩერების შესახებ. მიუხედავად სხვადასხვა ძალების ცდისა, შექმნან მათთვის სასურველი აზრი, საქართველოს მოსახლეობასა და მის ტერიტორიაზე განლაგებულ საჯარისო ნაწილებს შორის (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ ინციდენტებს) დაპირისპირებასა ან მითუმეტეს ღია კონფრონტაციაზე ლაპარაკი არ შეიძლება. სწორედ პატრულირების შემოთავაზებულმა ფორმამ შეიძლება გამოიწვიოს ეს დაპირისპირება, რასაც თვით დამნაშავეთა სამყარო შეუწყობს ხელს, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული ეს აქცია. რამდენიმე პროვოკაციული ქმედება მათი მხრიდან გამოიწვევს საბჭოთა არმიის საპასუხო რეაქციას, ვითარება ისევ აირ-დაირევა და მათაც ეს აძლევთ ხელს. დამნაშავე სამყაროს დევიზი ხომ ასეთია — „რაც უფრო ცუდადაა საქმე, მით უკეთესია".

რესპუბლიკაში მართლწესრიგი შინაგან საქმეთა ორგანოებმა უნდა დაამყარონ და ამ საქმეში მათ მხარში უნდა ამოუდგეს დიდი თუ პატარა. მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ ყურად უნდა იღოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1991 წლის 30 იანვრის განცხადებაში გამოთქმული მოთხოვნები.

შალვა დავლაშელიძე, პენსიონერი: საკუთარ ოჯახში საქმეს თვითონვე მოვუვლით. ჩვენი მილიცია თავად შესძლებს საჭირო წესრიგის დამყარებას, თუმცა ამ საქმეში მისი მიტოვება არ შეიძლება. განა ამას არ მოგვიწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის ამასწინანდელ განცხადებაში? ყველა ჩვენგანი უნდა დაეხმაროს მას, ხოლო მთავრობამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მილიციის თანამშრომლებს ჰქონდეთ სათანადო უფლებამოსილება, კარგად იყვნენ აღჭურვილი და შრომის შესაბამისი ანაზღაურებაც ჰქონდეთ. ჯარების შემოყვანა კი ჩემი აზრით უფრო გაამწვავებს ისედაც საკმაოდ დაძაბულ მდგომარეობას.

მოამზადა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრის უფროსმა ინსპექტორმა, შინაგანი სამსახურის კაპიტანმა პაატა ჩხაიძემ.

უცნობი მარქსი

მოსაზრებანი რუსეთისა და ლიტვის შესახებ

არსებობენ ისეთი ავტორები და წიგნები, რომლის თარგმნაც ზოგჯერ არ ხერხდება, ან არცაა საჭირო. კარლ მარქსის მოძღვრებაზე და მის წიგნებზე ამის თქმა, თითქოს არ უნდა ყოფილიყო საჭირო... შევძელით გვეთარგმნა თითქმის ყველა წყარო მისი მოძღვრებისა, თითქმის — იმიტომ, რომ არსებობდა და არსებობს კარლ მარქსის ისეთი წიგნიც, რომლის თარგმნაც და გამოქვეყნებაც არასაჭიროდ მიაჩნდათ ჩვენს „ბელადებს“!

პროლეტარიატის „დიდი მამამთავრის — კარლ მარქსის იდეებს ყველი გაუვიდა, სულ ცოტა ხნის წინ კი მის ციტატებს, წიგნებს, ბიუსტებს და ა. შ. ყოველ საჭირო და არასაჭირო მომენტში გვჩრიდნენ. მაგრამ მკითხველი საზოგადოებისათვის თითქმის უცნობია, რომ არსებობს მარქსის ერთი ინგლისურად დაწერილი წიგნი, რომელიც დღემდე არ უთარგმნიათ რუსულად, მით უფრო — (ქართულად). ბუნებრივია, მას იშვიათად თუ ვინმე დაიმოწმებდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, 1899 წელს ლონდონში, მარქსის ქალიშვილის ელეონორა მარქს-ავლინგის მიერ გამოცემული ეს წიგნი, ამბობენ, ერთ ეგზემპლარად იყო წარმოდგენილი მთელ კავშირში. პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკას მარქსის ეს წიგნი ჯერ კიდევ მეფის მთავრობის დროს შეუძენია, მაგრამ ჩვენს დროში მისი გაცნობის მსურველს ხელოვნურ სირთულეებს უქმნიდნენ. მართალია, ოფიციალურად მარქსი ე. წ. „სპეციალურ ფონდში“ არ შეუტანიათ, მაგრამ ამ შრომის მოთხოვნისას ყოველთვის ერთ პასუხს ვიღებდით: „წიგნი რესტავრაციაშია“. საოცარია, გასული საუკუნის მიწურულს, ინგლისურ ენაზე გამოცემული ეს წიგნი ნეტავ ისეთ რა ხმარებაში იყო, რომ მისი რესტავრაცია 4-5 წელიწადში ვერ დაასრულეს (ამ შუალედით ვითხოვდი ამ წიგნს).

საქმე ის არის, რომ მარქსის ამ წიგნში — „XVIII საუკუნის საიდუმლო დიპლომატია“ — ძირითადად რუსეთის (თუმცა, არა მხოლოდ XVIII საუკუნის) ისტორიაა გაშუქებული. მარქსი საკმაოდ მკაცრად და პირუთვნელად ახასიათებს ამ ქვეყნის ხელისუფლებას. აშკარაა, რომ პროლეტარიატის ეს ბელადი რუსეთს სრულებით არ მიიჩნევს კაცობრიობის „ნათელი მომავლის“ მშენებლების პირველ რიგებში. ამან განაპირობა ის „ობსტრუქცია“, რომელიც მარქსის ამ შრომას რუსეთში მოუწყვეს.

1969 წელს ნიუ-იორკში კვლავ გამოიცა ეს წიგნი. იგი შედარებით ადვილი ხელმისაწვდომი გახდა. ამასთან, 1899 წლის გამოცემასთან შედარებით, იგი გაცილებით სრულია. მაგალითად, წიგნის საინტერესო თავი, რომელიც რატომღაც გამოტოვებული იყო 1899 წელს, ახალ გამოცემაში აღდგენილია 1857 წლის ინგლისური პერიოდიკის მიხედვით, სადაც პირველად დაიბეჭდა მარქსის ეს შრომა.

ამ აღდგენილ ფრაგმენტებს შორის, ალბათ, განსაკუთრებით აქტუალურია მარქსის დამოკიდებულება რუსეთისა და ლიტვის სახელმწიფოთა ურთიერთობებისადმი. საინტერესოა მის მიერ სამეგრელოს ხსენებაც.

აშკარაა, რომ ამ წიგნს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა. გთავაზობთ შრომის ზოგიერთი საინტერესო ფრაგმენტის ჩვენეულ თარგმანს 1969 წლის ნიუ-იორკის გამოცემის მიხედვით.

„სხვადასხვა ეპოქაში რუსეთის დამთრგუნველ გავლენას ევროპელნი განცვიფრებით აღიქვამდნენ. შეშინებული დასავლეთის ხალხები მას ან ემორჩილებოდნენ, როგორც ფატალობას, ან წინააღმდეგობას უწევდნენ მხოლოდ კონვულსიებით. მაგრამ რუსეთის მომნუსხველ გავლენასთან ერთად აღმოცენდა სკეპტიციზმიც, რაც თან სდევდა მათ ვითარცა აჩრდილი და იზრდებოდა მისი ძლიერების ზრდის კვალობაზე. რუსეთს აღიქვამდნენ გამჭოლი ირონიით, რომელსაც ერთვოდა აგონიით მოცული ხალხების მოთქმა. ამასთან, დასცინოდნენ რუსეთის დიდებულ ბრწყინვალებას, როგორც ყალბ პოზას, რომელიც დაბრმავებისა და მოტყუებისათვის იყო საჭირო.

სხვა იმპერიებს ასეთივე უნდობლობით ხვდებოდნენ მხოლოდ მათი ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპებზე, რუსეთი კი ისე გახდა ბუმბერაზი, რომ ვერ მოიშორა ეს სკეპტიციზმი.

ისტორიაში იგი ერთადერთ მაგალითად გამოდგებოდა. ეს არის უზარმაზარი იმპერიის შექმნა. მისი ძალის არსება მსოფლიო წარმატებების შემდეგაც კი, ჩვეულებრივ ფაქტად კი არ განიხილებოდა, არამედ როგორც რწმენის საკითხი. მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, არც ერთი ავტორი, რომელიც აპირებს განადიდოს თუ განაქიქოს რუსეთი, ამას ვერ შეძლებს, თუ წინასწარ არ ჩასწვდა მის არსებას. რუსეთთან დაკავშირებით, იდეალისტები ვიქნებით თუ მატერიალისტები, მის ძალას აღვიქვამთ, როგორც რეალურ ფაქტს თუ ევროპელების დაბინდული გონების წარმოსახვის ნაყოფს, საკითხი ერთი რჩება: „როგორ შეძლო ამ ძალამ ან ამ ძალის ილუზიამ, ამოდენა სიდიდის მიღწევის შემდეგაც კი, ერთი მხრივ, მყარი დაცვის ორგანიზება და, მეორე მხრივ, იმის გაავებული უარყოფა, რომ იგი შიშის ზარს სცემს მსოფლიოს სწორედ როგორც უნივერსალური მონარქიის რეპეტიცია?“

...კურიოზულია, რომ ივანე (იგულისხმება ივანე მრისხანე. — ვ. კ.) ყოველი გამარჯვების შემდეგ შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან და იარაღს მიმართავდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ეს გამარჯვება მოაპოვებინა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვი, ისევე როგორც დღევანდელი რუსეთი, დასჯის მიზნით ბასრ ჭრილობებს აყენებდა რესპუბლიკებს: აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ნოვგოროდი თავისი კოლონიებით, შემდეგ კაზაკთა რესპუბლიკა და ბოლოს პოლონეთი. იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ, როგორ ჩაყლაპა რუსეთმა პოლონეთი, ჯერ უნდა შევისწავლოთ ნოვგოროდის მოსპობის პროცესი, რაც 1478-1528 წლებში მიმდინარეობდა...

...ახლა ივანეს უკანასკნელ დიდ ომს უნდა შევეხოთ, რომელიც ლიტვას ეხება. ლიტვასთან ჭიდილი ივანეს ტახტზე ასვლიდან დაიწყო და მის სიკვდილამდე ორიოდე წლით ადრე დამთავრდა. 80 წლის განმავლობაში ის დიპლომატიური ომით იხაზღვრებოდა. მაგრამ ამ დროის მანძილზე იგი აქეზებდა და ამწვავებდა შინაუთანხმოებებს ლიტვასა და პოლონეთს შორის. ამისათვის მოხერხებულად იყენებდა ლიტვაში მცხოვრები რუსი ქვეშევრდომების უკმაყოფილებას და ლიტვის პარალიზებას ახდენდა მის წინააღმდეგ სხვა მტრების წაქეზების პოლიტიკით. ასეთები იყვნენ: ავსტრიის იმპერატორი მაქსიმილიანი, უნგრელი მათიაშ კორვინუსი; ძალზე აქტიურობდა მოლდოვის გოსპოდარი სტეფანი, რომელთანაც ივანეს ნათესაური კავშირიც ჰქონდა. უნდა აღინიშნოს მენგი-გირეიც, რომელსაც იგი ძლიერ იარაღად იყენებდა როგორც ლიტვის, ისე ოქროს ურდოს წინააღმდეგ. მართლაც, მეფე კაზიმირის სიკვდილის და სუსტი ალექსანდრეს ტახტზე ასვლის შემდეგ ლიტვისა და პოლონეთის ტახტი დროებით განცალკევდა...

ამგვარად, როცა ლიტვის შესუსტება რეალობად იქცა, ივანე მიხვდა, რომ მომწიფდა ძალის გამოყენების დრო. პირობები სწორედ შესაფერისი იყო იმისთვის, რომ ძლევამოსილი აფეთქებით დაემთავრებინა ეს საქმე. აქამდე იგი არ ახდენდა თავისი ყოვლისმომცველი სამხარი ძალების თეატრალურ დემონსტრირებას. მან ეს მხოლოდ მაშინ გააკეთა, როცა სავსებით დარწმუნდა, რომ ახლა ომის დაწყების სიმულაცია ლიტვის კაპიტულაციას გამოიწვევდა. ივანემ ლიტვას გამოჰგლიჯა იმ შეთანხმების დადასტურება, რომელიც მან მალულად დადო მეფე კაზიმირის დროს და რომელიც ითვალისწინებდა ლიტვის საქმეებში ჩარევის უფლებას...

...ყველა მეთვალყურისათვის ცხადია სლავური რასის ერთი თვისება. ეს რასა თავის თავს ყოველთვის შემოსაზღვრავდა ამა თუ იმ ქვეყნის შიდა ტერიტორიით, ზღვის სანაპიროებს კი არასლავურ ტომებს უტოვებდა... რუსმა ხალხმა შეითვისა სლავური რასის ეს შტრიხი. როცა ისინი ისტორიის ასპარეზზე გამოვიდნენ, მათი ტერიტორია იყო ვოლგის სათავეები, მისი ზედა წელი და შენაკადები; ასევე მდინარე დნეპრის, დონის და ჩრდილოეთ დვინის სათავეები. არსად ისინი ზღვას არ ემიჯნებოდნენ, ფინეთის ყურის უკიდურესი კიდის გარდა... ის ადგილი, სადაც ახლა პეტერბურგი დგას, ათასი წლის წინ მტრობის საგანს შეადგენდა ფინელებს, შვედებსა და რუსებს შორის... სლავური რასის ანტიზღვაოსნური მიდრეკილების კარგი მაგალითია ის, რომ მთელი ბალტიის ზღვის სანაპირო ზოლზე არც ერთი მტკაველი რუს ერს ფაქტობრივად არ აუთვისებია. იგივე ითქმის შავი ზღვის ჩერქეზულ და მეგრულ სანაპიროზეც.

...აი, სწორედ ეს ტრადიციები იყო პეტრე დიდის მოღვაწეობის საწყისი. მაგრამ მან დაამსხვრია სლავური რასის ყველა ჩვეულება, როცა განაცხადა: „რაც რუსეთს უნდა, ეს არის წყალი“. ამ სიტყვებით მან საყვედურის ფორმით მიმართა პრინც კანტემირს და ეს სიტყვებივე იყო ამოკვეთილი მისი ცხოვრების თავფურცელზე.

...რეზიუმეს სახით. ეს მონღოლური მონობის საშინელი და უბადრუკი სკოლა იყო, სადაც გამოიზარდა და აღზევდა რუსეთი. ეს ძალას იკრებდა იმით, რომ ვირტუოზულად გაიწაფა მონობის ხელოვნებაში. მტრისაგან ყოველი განთავისუფლების დროს მოსკოვი თავის ტრადიციულ მონურ ფსიქოლოგიას ბატონის ჩვევებზე ცვლიდა. განსაკუთრებით საფუძვლიანად ეს პეტრე დიდმა გააკეთა, რომელმაც მონის პოლიტიკური მლიქვნელობა იმ მონღოლი ბატონის სიამაყეს შეურწყა, რომელსაც ჩინგის-ხანმა მთელი მსოფლიოს დაპყრობა უანდერძა“.

ვაჟა კიკნაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ბალტიის ქვეყნები

28 იანვარს საქდესმა გვაცნობა, რომ ლატვიის დედაქალაქში სცემეს ამ სააგენტოს თანამშრომლებს. თანაც პირდაპირ მიგვანიშნეს მომხდარი ამბის პოლიტიკური სარჩული. მართლაც, 27 იანვარს მილიციას მიმართეს რიგაში მივლინებით მყოფმა საქდესის ვიდეორედაქციის თანამშრომლებმა ანდრია კოროტკოვმა და ანატოლი ერშოვმა. მათ განაცხადეს, 26 იანვარს გვიან საღამოს უცნობმა პირებმა გაგვძარცვეს და გვცემეს, თან ძვირფასი ვიდეოაპარატურა წაგვართვესო. მაინც, რა მოხდა?

გვიამბობს ერიკ ჟელეზნოვი, რესტორან „პიე რ'ისტაპის“ ადმინისტრატორი:

— 26 იანვარს საღამოს ცხრის ნახევარი იქნებოდა, რომ ჩვენი რესტორნის ლუდხანაში მოვიდა ორი მამაკაცი, რომლებმაც თავი გაგვაცნეს საქდესის თანამშრომლებად. ესენი კოროტკოვი და ერშოვი იყვნენ. ერშოვს ხელში უშალითო აპარატურა ეკავა. ისინი ორადგილიან მაგიდასთან დავსხით. თავიანთი აპარატურა გვერდით მდგომ სერვანტზე დადგეს. ერთ-ერთი სტუმრის შენიშვნაზე, ასეთი აპარატურა ახლა ათი ათას დოლარზე მეტი ღირსო, კოროტკოვმა უპასუხა — 47 ათასიო. მათ შეგვიკვეთეს კოლმეურნეობა „ლაჩპლესის“ სამი სურა განთქმული ლუდი. თითო სურაში რამდენიმე ლიტრი ჩადის. დაახლოებით საათ-ნახევრის შემდეგ წავიდნენ...

მეორე დღეს 19 საათსა და 20 წუთზე — თითქმის ერთი დღე-ღამის შემდეგ მომხდარი ამბიდან — ჟურნალისტებმა მიმართეს პირველ საქალაქო საავადმყოფოს:

აი, რა თქვა საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ზოია ორლოვამ:

— კოროტკოვს ტვინის მსუბუქი შერყევა აღმოაჩნდა, ერშოვს კი ზედა ტუჩი ჰქონდა გახეთქილი. კოროტკოვს არყის ძლიერი სუნი ასდიოდა, ანალიზებმა დაადასტურა ალკოჰოლის შემცველობა. მათ საჭირო სამედიცინო დახმარება გავუწიეთ.

სად იყვნენ დედაქალაქის სააგენტოს ჟურნალისტები თითქმის მთელი დღე-ღამის განმავლობაში რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ?

ამ კითხვას უპასუხებს რიგის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე იური იასინკევიჩი:

— 26 იანვარს გვიან საღამოთი სასტუმრო „რიგის“ მილიციის ოთახში განცხადება მოგვიტანეს კოროტკოვმა და ერშოვმა, რომ მათ სცემეს და გაძარცვეს. მორიგე ოპერატიულმა მუშაკმა მათ ახსნა-განმარტება ვერ ჩამოართვა, რადგან, როგორც მან თქვა, ძალიან მთვრალები ყოფილან. მხოლოდ მეორე დღეს სადილის შემდეგ მოგვცეს მათ ჩვენება.

როგორც კორესპონდენტებმა თქვეს, მას შემდეგ, რაც ისინი ლუდხანიდან გამოსულან, თურმე ქუჩის მეორე მხარეს რესტორან „პუტ ვეიინის“ კიბეებზე ისვენებდნენ, მოურბენია ვიღაც ყმაწვილს, ხელი უტაცია აპარატურისთვის და გაქცეულა. სასტუმრო „რიგის“ მახლობლად კორესპონდენტებს შემორტყმიან ახალგაზრდები და უცემიათ.

ამ საქმის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ლატვიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 140/2 მუხლით (ყაჩაღობა). დაზარალებულთა ჩვენებებში აღნიშნული არ არის, რომ ცემა და ძარცვა პოლიტიკური მოტივებით მოხდა.

სამწუხაროდ, კორესპონდენტის ცდები შეხვედროდა დაზარალებულებს, უშედეგოდ დამთავრდა.

დავით გეფტერი,
„ბალტიის“ კორესპონდენტი.

ლიტვის რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გამოაქვეყნა კანონი „ეროვნულ უმცირესობათა შესახებ“ ლიტვის რესპუბლიკის კანონში შესწორებათა შეტანის თაობაზე“.

„იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ადგილობრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებშიც კომპაქტურად ცხოვრობს რომელიმე ეროვნული უმცირესობის მოსახლეობა, სახელმწიფო ენასთან ერთად გამოყენებული იქნება ამ ეროვნული უმცირესობის ენა“ — ნათქვამია დოკუმენტში.

როგორც ცნობილია, აქამდე ლიტვაში იგრძნობოდა რესპუბლიკაში მცხოვრები 'არამკვიდრი მოსახლეობის უკმაყოფილება იმის გამო, რომ ახალი კანონმდებლობა აფართოებდა სახელმწიფო ლიტვური ენის უფლებებსა და გამოყენების ზონას და, ამავე დროს, ზღუდავდა ეროვნულ უმცირესობათა ენების გამოყენებას. ახალმა შესწორებებმა უნდა აღმოფხვრას ამ ნიადაგზე დაძაბულობისა და წინააღმდეგობის წამოჭრის მიზეზი.

•

საქდესის კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როგორ უყურებს იგი, გენადი ინაევი, ქვეყნის მე-2 კაცი, ბალტიისპირეთში მიმდინარე პროცესებს, ინაევი ასეთ პასუხს აძლევს:

...არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ ბალტიისპირეთი ძალით დავიჭიროთ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. უნდა მოქმედებდეს სამართლებრივი მექანიზმი და მოეწყოს რეფერენდუმი... დროა ხალხს მივცეთ საშუალება ცხოვრების ფუნდამენტურ საკითხებზე გამოთქვას საკუთარი შეხედულება.

თუ ბალტიისპირელები მიიღებენ საბჭოთა კავშირიდან გასვლის გადაწყვეტილებას, მაშინ, ინაევის აზრით, უნდა ამოქმედდეს მოლაპარაკებათა მთელი მექანიზმი, მათ შორის უნდა განისაზღვროს ბალტიისპირეთის რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებები და გარანტიები.

ინაევის აზრით, საბჭოთა კავშირიდან გასვლის თაობაზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვასა და რეფერენდუმს შორის დიდი განსხვავებაა, პირველი მხოლოდ სოციოლოგიური გამოკითხვაა და მეტი არაფერი.

ლიტვის უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 9 თებერვალს რესპუბლიკაში მოაწყოს იმ მოქალაქეთა გამოკითხვა, რომლებსაც რესპუბლიკაში მოქმედი „მოქალაქეობის შესახებ“ კანონით უფლება აქვთ გახდნენ ლიტვის მოქალაქენი. ამ დღეს ფარული კენჭისყრით ლიტველებმა უნდა დადებითი ან უარყოფითი პასუხი გასცენ ერთადერთ კითხვას: „გსურთ თუ არა, რომ ლიტვა იყოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა“?

ლიტვის კათოლიკური ეკლესიის კარდინალმა და ეპისკოპოსებმა მოუწოდეს სამღვდელოებას ენერგიული მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკისათვის ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებაში.

ლიტვის საინფორმაციო საშუალებები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის გამოკითხვა ფაქტობრივად რეფერენდუმია და მას საერთაშორისო მეთვალყურენი დაესწრებიან.

ლიტვის პარლამენტის პოლონური ფრაქციის მეთაურმა მაცეიკიანეცმა მოიწონა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება ცვლილებები შეიტანოს მოქმედ კანონმდებლობაში, რომელიც ეროვნულ უმცირესობებს ეხება. ამის თაობაზე პრესკონფერენციაზე გამოსვლისას პარლამენტის პოლონური ფრაქციის მეთაურმა აღნიშნა, რომ ამით იხსნება ყოველგვარი ბარიერები და ლიტვის პოლონურ მოსახლეობას საშუალება ექნება საშუალო და უმაღლესი განათლება მშობლიურ ენაზე მიიღოს. მაცეიკიანეცმა ისიც დასძინა, რომ კანონმდებლობის აღნიშნული შესწორება დადებით გავლენას მოახდენს 9 თებერვალს განზრახული ლიტვის მოქალაქეთა საყოველთაო გამოკითხვის დროს.

საზღვარგარეთ

მინისტრთა ერთობლივი განცხადება

საბჭოთა კავშირის ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბესმერტნიხმა და შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბეიკერმა ერთობლივი განცხადება გააკეთეს სპარსეთის ყურეში შექმნილი ვითარების გამო. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, გაეროს მიერ სანქციონირებული სამხარი მოქმედება პროვოცირებულია იმით, რომ ერაყმა უარი თქვა, დატოვოს ქუვეითი. ბეიკერმა აღნიშნა, რომ მრავალეროვნული ძალები იბრძვიან ქუვეითის განთავისუფლებისათვის და არა ერაყის განადგურებისათვის. მინისტრების აზრით, შესაძლებელია სამხარი მოქმედების შეწყვეტა, თუ ერაყი იკისრებს არაორაზროვან ვალდებულებას დატოვოს ქუვეითი. გარდა ამისა განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება დესტაბილიზაციის მიზეზებისა და კონფლიქტების წყაროების, მათ შორის არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის წყაროების აღმოფხვრას. ამასთან ორივე მინისტრი დაეთანხმა იმას, რომ კონფლიქტების წყაროებისა და დესტაბილიზაციის თავიდან აცილება რეგიონში ვერ მოხერხდება, თუ არ განხორციელდა სრულფასოვანი საზავო პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლიან მშვიდობას, უშიშროებასა და ნამდვილ დაზავებას ისრაელს, არაბეთის სახელმწიფოებსა და პალესტინელებს შორის.

მინისტრების ასეთ განცხადებას სხვადასხვანაირი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგმა ისე გაიგო, რომ სპარსეთის ყურის კრიზისი დაკავშირდა პალესტინელთა პრობლემასთან, რასაც უარყოფითი რეაქცია მოჰყვა ისრაელში. მისმა პრემიერ-მინისტრმა იცხაკ შამირმა ამასთან დაკავშირებით იერუსალიმში ასეთი განცხადება გააკეთა: „ამერიკამ და საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს, რომელიც ისრაელს ეხება, ამასთან ჩვენთან ამის თაობაზე არავითარი კონსულტაცია არ ჰქონიათ“.

„უდაბნოს გრიგალის“ ოპერაციის 18 დღის მანძილზე მრავალეროვნული ძალების თვითმფრინავებმა 27 ათასზე მეტი საბრძოლო გაფრენა მოახდინეს და ბომბები და რაკეტები დაუშინეს ერაყის სამხედრო ობიექტებს.

სურათზე: ამერიკული ფ/ა 18 „ჰორნეტსი“ საბრძოლო გაფრენის დროს.

ასოშიეიტედ პრეს-საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ვითარება მწვავდება

როგორც ცნობილია, გუშინწინ ერაყმა მრავალეროვნული ჯარების პოზიციებს შეუტია საუდის არაბეთში და დაიკავა ქალაქი რასხაფჯი, რომელიც ქუვეითიდან 20 კილომეტრზეა. იუწყებიან, რომ 12 ამერიკელი საზღვაო ფეხოსანი ჯარისკაცი დაიღუპა. ერაყი ჯერჯერობით იკავებს ამ ქალაქს, რომლის დაბრუნებასაც ცდილობენ საუდის არაბეთის სამხედრო შენაერთები. ბი-ბი-სის კორესპონდენტის აზრით, სადამ ჰუსეინის ეს აქცია ორ მიზანს ისახავს. გამოიწვიოს აღტაცება არაბულ სამყაროში და როგორმე სახმელეთო ბრძოლებში ჩაითრიოს მრავალეროვნული ძალები.

სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტში

რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააკეთა განცხადება, რომ 1991 წლის 17 მარტს საბჭოთა კავშირში დანიშნული რეფერენდუმი საბჭოთა სახელმწიფოს ბედის შესახებ მოუმზადებელია და ამ საკითხზე რეფერენდუმის მოწყობა მიუღებელია.

რამდენიმე სტრიქონით

ინგლისში გაიხსნა სპეციალური სამხედრო ბანაკი, სადაც ერაყელ ტყვეთა პირველ ნაკადს მოელიან.

სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომი ინგლისის შეიარაღებულ ძალებს დღე-ღამეში 3-დან 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი უჯდება.

ქუვეითელი ემიგრანტები ფიქრობენ, რომ ქვეყნის აღდგენისთვის საჭირო იქნება 25 მილიარდი დოლარი და ამის თაობაზე შესაბამისი კონტრაქტების დადება დაიწყეს სხვადასხვა ქვეყნის საამშენებლო ფირმებთან.

ამერიკელმა პუბლიცისტმა ჯონათან ეილმა საბჭოთა კავშირს „მომაკვდავი იმპერია“ უწოდა და აღნიშნა, აქ მიმდინარე ეთნიკური კონფლიქტები მის ფარგლებს გარეთ არ უნდა გავრცელდესო.

თურქმენეთიდან მიღებული ცნობებით, აქ გაძლიერდა ერაყის მხარდამჭერი მოძრაობა.

ამერიკელი სენატორის ჯონ მაკეინის აზრით, თუ ჰუსეინმა შეძლო ქუვეითზე და გაერთიანებულ ემირატებზე კონტროლის დაწესება, მაშინ მას ხელში ჩაუვარდება მსოფლიოს მთავარი ეკონომიკური ძარღვი, რაც საფრთხეს შეუქმნის ევროპულ ცივილიზაციას.

დაგმეს პრეზიდენტის ბრძანებულება

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა დაგმო კრემლის ახალი ბრძანებულება, რომელიც აკანონებს არმიისა და მილიციის ერთობლივ პატრულირებას საბჭოთა კავშირის მთავარ ქალაქებში. საკავშირო რადიოთი გადაცემულ ინტერვიუში ბორის ელცინმა ამ ბრძანებას ულტიმატუმი და დიქტატორობისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი უწოდა. საბჭოთა კავშირის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების მიერ გამოქვეყნებულ ბრძანებაში ნათქვამია, რომ პატრულირება დაიწყება დღეს და თითქოს მიზნად ისახავს სულ უფრო მზარდ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლას. ელცინმა აღნიშნა, რომ ეს ბრძანება არ შეუთანხმებიათ მოკავშირე რესპუბლიკებთან და უზენაეს საბჭოსთან. ელცინის აზრით გორბაჩოვის ბრძანებულება ეწინააღმდეგება, როგორც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს.

მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ სერგი სტანკევიჩმა აგრეთვე მკაცრად გააკრიტიკა ეს ბრძანებულება, რომელსაც უკანონო და საგანგებო წესებისკენ გადადგმული ნაბიჯი უწოდა. მან რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოს მოუწოდა შეუდგეს ამ ბრძანებულების გაუქმების საკითხის განხილვას.

როგორც ცნობილია, ლიტვის პარლამენტმა დაგმო ეს ბრძანებულება, როგორც სამხედრო დიქტატურისაკენ გადადგმული ნაბიჯი. ტალინის რადიომ გამოაცხადა, რომ ესტონეთის პარლამენტის ლიდერებმა იგი უარყვეს, როგორც უკანონო.

არღვევენ ჰიპოკრატეს ფიცს

ჩინეთში შარშანდელი წლის მანძილზე 16,5 ათასი „კოლექტიური“ და კერძო კლინიკა და საავადმყოფო დაიხურა, იტყობინება დღეს პეკინის „ჩაინა დეილი“. გარდა ამისა, სამკურნალო დაწესებულებათა ბევრ მეპატრონეს დიდი ჯარიმა დაადეს და მორალურად გაკიცხეს. მედიცინაში არასახელმწიფო სექტორის ასეთი დევნის მიზეზად გაზეთი ასახელებს იმას, რომ კერძო და კოოპერატორ ექიმებს არ ჰქონდათ სამედიცინო პრაქტიკის ლიცენზიები და ანგარიშში ატყუებდნენ პაციენტებს.

წელსაც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ყოველმხრივ ეცდება გააუმჯობესოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხი, გონივრული გახადოს მკურნალობის ანაზღაურება და აღადგინოს საექიმო ეთიკის კარგი ტრადიციები, განაცხადა პრესკონფერენციაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ჩენ მინჯანმა.

„საქართველოს მინდა დავეხმარო“

საქართველოს სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, სრული პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტისაკენ, ბუნებრივია, ითვალისწინებს კონტაქტების გაღრმავება-გაფართოებას საზღვარგარეთის ქვეყნებთან, დასავლეთის სპეციალისტებსა და ექსპერტებთან. მათ ძალუძთ დიდი სარგებლობა მოუტანონ საქართველოს მისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისა და შემუშავების პროცესში, თუმცა, რა თქმა უნდა, დასავლელი სპეციალისტების მოსაზრებები ყოველთვის როდი იქნება უებარი. მაგრამ მათი ჩვევებისთვის დისკუსიური ხასიათის მიცემამაც კი წაადგება საერთო საქმეს.

ერთ-ერთ ასეთ სპეციალისტად გვესახება შეერთებული შტატების წარმომადგენელი, ელჩი არნოლდ სალცმანი, რომელსაც ოთხი პრეზიდენტის ადმინისტრაციებში ეკავა მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტები, დიპლომატიურ სამსახურზე იმყოფებოდა ჩეხეთ-სლოვაკეთში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრიაში. არნოლდ სალცმანს თითქმის ხუთი წლის ნაცნობ-მეგობრობა აკავშირებს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების სამმართველოს უფროსთან თედო ჯაფარიძესთან, რომელსაც შარშან ნოემბერში შემდეგი შინაარსის წერილი გამოუგზავნა.

თქვენ მთხოვეთ, გამომეთქვა აზრი, თუ როგორ შეიძლება საქართველოს დახმარება.

მინდა დავიწყო იმით, რომ მოვლენების განვითარება საქართველოში მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული როგორც რესპუბლიკის მოსახლეობაზე, ასევე მთელ საბჭოთა კავშირში არსებულ სიტუაციაზე. საქართველოს მომავალს ვერც პარიზის შეხვედრა და ვერც უცხო ქვეყნები განსაზღვრავენ. ის ქვეყნებიც კი, რომლებსაც სურთ ნახონ დამოუკიდებელი საქართველო — ხოლო მრავალს არ სურს ამგვარი რამ — არ მოისურვებენ საბჭოთა კავშირის მთავრობასთან ურთიერთობის გაუარესებას იმისათვის, რომ თქვენს რესპუბლიკას პოლიტიკური მხარდაჭერა გაუწიონ. მე არ შევეცდები მოვიყვანო ვრცელი არგუმენტაცია, რათა ჩემი მოსაზრების სისწორე დავასაბუთო. მოვიყვან მხოლოდ დასკვნებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ დაგროვილი გამოცდილება უდევს საფუძვლად.

საკითხი მხოლოდ იმას ეხება, თუ როგორ შეიძლება დავეხმაროთ საქართველოს და რატომ. თქვენ იცით, რომ როგორც ბიზნესმენმა და დიპლომატმა, დიდი ხნის მანძილზე ვიმუშავე პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და 1985 წლის შემდეგ, უკვე როგორც ბიზნესმენმა, საბჭოთა კავშირში. ამიტომ, კარგად ვიცი ის პრობლემები, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და პირადად გორბაჩოვის წინაშე დგას. იმის გამო, რომ გორბაჩოვმა ძალაუფლების დეცენტრალიზაცია მოინდომა, რამდენიმე ხნის წინათ ვურჩიე, შეექმნა რესპუბლიკათა კონფედერაცია, რომელიც მაშინ გამართლებული იქნებოდა. მან არ მოისურვა ამის გაკეთება, ახლა კი იძულებულია ყველა ღონე იხმაროს საბჭოთა კავშირის მთლიანობის შენარჩუნებისათვის. ამ მიზნით იგი ლიბერალი იქნება ლიბერალებთან ურთიერთობაში, კომუნისტი — კომუნისტებთან, და ყველა არსებულ საშუალებას გამოიყენებს. ახლა ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფის წინაშე დგას, რის გამოც გორბაჩოვს მეტად გაუჭირდება კონტროლი გაუწიოს მოვლენათა მსვლელობას. შესაძლოა ეს შეუძლებელიც იყოს.

არსებული სიტუაციის ფონზე, საბჭოთა კავშირი ცდილობს ნაწილობრივ შეინარჩუნოს ცენტრალიზებული ეკონომიკის სტრუქტურები, ნაწილობრივ კი თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადავიდეს, რისი გამოცდილებაც მას არ გააჩნია. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის მკვიდრნი ფსიქოლოგიურად მოუმზადებელნი არიან ეფექტიანი, ნაყოფიერი მუშაობისათვის — სუსტი და უვარგისია ხელმძღვანელი, და ბოლოს ხალხს საერთოდ არა აქვს შრომის სტიმული. ეს უმთავრესი პრობლემაა. მეორე პრობლემა ის არის, რომ ეიფორიით, თავისუფლებისა და დემოკრატიის ლოზუნგებით შეუძლებელია ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. საჭიროა დიდი მუშაობა, გამოცდილება და ცოდნა. თუ ეკონომიკა არ ამუშავდება, პოლიტიკურ სტაბილობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში საქართველომ ეკონომიკური ნოვაციებისაკენ მიმართული ნაბიჯები უნდა გადადგას, რომლებიც გააძლიერებს მას.

1) პრივატიზაცია — ხალხს უნდა ჰქონდეს თავისი საკუთრება, უნდა ფლობდეს მცირე საწარმოებს, უნდა ჰქონდეს წილი უფრო დიდ საწარმოებში, ფლობდეს მიწას, თვითონ დაამუშავოს იგი, ან შექმნას კოოპერატივები როგორც აშშ-ში. ზოგი რამ შეიძლება მთლიანად სახელმწიფოს მფლობელობაში დარჩეს, ზოგსაც იგი ნაწილობრივ გაუწევს კონტროლს. ასე ხდება მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანაში, საფრანგეთის ჩათვლით, სადაც მრეწველობის 30 პროცენტი სახელმწიფოს ეკუთვნის. თვით შეერთებულ შტატებშიც ზოგიერთი კომპანია სრულად ან ნაწილობრივ არის მუშების მფლობელობაში. კანონები კერძო საკუთრების შესახებ უნდა საგულდაგულოდ და სწრაფად შეიქმნას და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ისინი ამოქმედდნენ.

2. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ერთობლივი საწარმოებისა და უცხოური ინვესტიციების საკითხი. ამ თვალსაზრისით, რესპუბლიკა პრობლემის წინაშე დგას. ამის მიზეზია გამოუცდელობა და საქმიანი გარიგებების დადების უცოდინრობა. ბევრია სპეკულიანტები, რომლებიც არაფერს ქმნიან, არამედ ცდილობენ ერთ ადგილას რაიმეს შეძენას და სხვაგან გაყიდვას. საბჭოთა კავშირის მოქალაქეები ამას ხშირად უცხოელთა დახმარებით აკეთებენ.

ერთობლივი საწარმოს შექმნა, რაც მნიშვნელოვანი და სასარგებლოა საქართველოსათვის, საგულდაგულოდ უნდა იქნას შესწავლილი და გაგებული. ის ადამიანები, რომლებიც მათ შექმნას ცდილობენ საბჭოთა კავშირში, როგორც წესი, მეტად გულუბრყვილონი და გამოუცდელნი არიან.

საქართველოს ძალზე ესაჭიროება გამოცდილი მრჩეველი, პიროვნება, რომელიც ქვეყნისა და ხალხის ინტერესებისათვის პრივატიზაციის საუკეთესო გზას დასახავს. პიროვნება, რომელიც გიჩვენებთ, თუ როგორ შეისწავლოთ ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობები და განსაზღვროთ კრიტერიუმები, თუ რამდენად პასუხობენ ისინი თქვენს ინტერესებს. პიროვნება, რომელიც დაგეხმარებათ, თავიდან აიცილოთ დროის ფუჭად ხარჯვა იმ ადამიანებთან, არც ფული, არც მდგომარეობა რომ არ გააჩნიათ და მხოლოდ ფულის სწრაფად მოხვეჭას ცდილობენ.

როგორც ხანდაზმულ სახელმწიფო მოღვაწეს, მინდა დავეხმარო საქართველოს იმ ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებაში, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას მიღებული, კერძოდ კი იმ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს გახდეს სიცოცხლისუნარიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ჩემთვის სასარგებლო და საინტერესო იქნებოდა, თუ შევძლებდი თქვენთვის დახმარების გაწევას ზემოთქმულის განხორციელებაში. ამისთვის ფული არ მჭირდება, კმაყოფილებას ისიც მომიტანს, თუ მრავალი ადამიანის ცხოვრებას გავაუმჯობესებ. ამასთან არც დილეტანტი გახლავართ და არ მსურს ამ იდეისადმი არასერიოზული მიდგომა. საქართველოს წარმატებით რომ დავეხმარო, უნდა მქონდეს ნათელი წარმოდგენა ქვეყნის ლიდერთა ზრახვების შესახებ, მიზნების განსაზღვრის თვალსაზრისით. შესაჭიროება მნიშვნელოვანი უფლებამოსილება, რათა ვიცოდე, რომ დროს ფუჭად არ ვკარგავ. ასევე კარგად მესმის, რომ აქ მისაღები ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ საქართველოს კონტროლს არ ექვემდებარება. ჯერ კიდევ არსებობს ცენტრალური მთავრობა, რომელთანაც საქმე უნდა გვქონდეს. იქ ვიცნობ ბევრ ადამიანს, და ვფიქრობ, ვხვდები, თუ რა ამოძრავებთ მათ. თანაც მიმაჩნია, რომ შესაძლებელია მათთან ურთიერთობა და წინსვლა საქართველოს საჭიროებათა მისაღწევად.

კიდევ ერთს დავუმატებდი. უნდა გავიმეორო, რომ საქართველოს გადარჩენა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული და გარედან ხსნას არ უნდა ელოდოთ. საქართველოს ხალხმა უნდა დაინახოს, რომ პრივატიზაცია მოქმედებს, რომ მათი ეკონომიკური ცხოვრება უმჯობესდება — ამ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ხალხი არაფერს დაიშურებს. პატრიოტიზმი მაშინ მოქმედებს უკეთესად, როდესაც მას ასაზრდოებს მატერიალური თვალსაზრისით უკეთესი ცხოვრება.

გულითადად,
არნოლდ სალცმანი

წარსულიდან მომავლისაკენ

ვ. არ დაგვცალდა...

ამიერკავკასიაში, იტალიის სამხედრო მისიის წევრების მიერ რომში გაგზავნილ წერილებს შორის, აღმოჩნდა ერთი ვრცელი წერილი, რომელიც ეხება დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრებს და საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას. წერილი გაგზავნილია ბათუმიდან და დათარიღებულია 1920 წლის ივლისით, მაგრამ შინაარსიდან ჩანს, რომ იგი დაწერილია ბათუმიდან ინგლისელების წასვლამდე. წერილს ხელს აწერს ვინმე ლუიჯი მერკატელი. ავტორი იძლევა საქართველოს მთავრობის სამი წევრის — ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორისა და ნოე რამიშვილის დახასიათებას და ბოლოს, მკითხველის ყურადღებას მიაქცევს იმ დროს საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას.

წერილის ავტორი თავის ადრესატს სწერს: „არ მინდა დავტოვო ეს ქვეყანა ისე, რომ არ გაგაცნოთ საქართველოს ახლანდელი მთავრობის სამი მთავარი წევრი: საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი".

ამის შემდეგ ავტორი წერს, რომ საქართველოს რესპუბლიკა— ეს სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკაა, მაგრამ მის სათავეში დგას „წარჩინებული გვარის შთამომავალი ნოე ჟორდანია, დაბადებული ლანჩხუთში (დასავლეთ საქართველო), რუსული ინტელექტუალური კლასის (ინტელიგენციის) წარმომადგენელი, რომელიც დაახლოებით 60 წლისაა".

ავტორი მიუთითებს, რომ ნ. ჟორდანიას ყოველთვის სჯეროდა პროლეტარიატის საქმიანი და შემოქმედებითი ენერგიისა და ახლაც სჯერა. ასეთი სუფთა და გულწრფელი რწმენით გამოდიოდა იგი მათ წინაშე. ასეთი რწმენითა და თავდადებულობით გამოდის იგი ახლაც, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის გუშაგი.

„ახალგაზრდობიდან, — წერს ავტორი, — იგი მიეკუთვნებოდა სოციალისტებს — მარქსისტებს. მან დატოვა იურიდიული ფაკულტეტი, რათა ხელი მოეკიდა პოლიტიკური აგიტაციისა და თავისი პარტიის ორგანიზაციისათვის. 1892 წელს, მან შექმნა რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქართული სექცია. თავისი ბუნებით იგი ყოველთვის ექსტრემისტული პარტიების წინააღმდეგი იყო. გავიდა დრო და იგი გაემგზავრა ჟენევაში, რათა მიეღო კონსულტაციები პარტიის დიდი ქურუმის პლეხანოვისაგან და ეჩვენებინა მისთვის თავისი პარტიის წესდება.

ცნობილია, რომ ბევრმა სოციალ-დემოკრატმა უარი თქვა მიეღო მონაწილეობა რუსულ დუმაში და მის არჩევნებში. ნოე ჟორდანიას კი ამაზე თავისი შეხედულება ჰქონდა. თუ მისი ზოგიერთი კოლეგა უარს ამბობდა რუსეთის დუმაში არჩევნებში მონაწილეობაზე და არ სურდა თანამშრომლობა ბურჟუაზიასთან, ნოე ჟორდანიას, პირიქით, სწორად ეჩვენებოდა გასულიყო პარლამენტის არენაზე და იქ მიეღო მონაწილეობა ბრძოლაში. იგი დუმის დეპუტატად არჩეულ იქნა თბილისიდან".

რუსეთის დუმაში, რომელიც „სავსე იყო გამორჩენილი ორატორებით, ნოე ჟორდანია შეუმჩნეველი დარჩა, როგორც ორატორი, მან დაიმსახურა რეპუტაცია ადამიანისა, რომელიც ფლობდა პოლიტიკის უმაღლეს გრძნობას და ამით მისი პირადი პრესტიჟი გაიზარდა".

1902 წლიდან, რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე იგი მაინც და მაინც არ ჩანდა, ეწეოდა მუშაობას და პროპაგანდას თავის პარტიულ ორგანიზაციაში, ხოლო შემდეგ იგი „არჩეულ იქნა ამიერკავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ. ამ დროს იგი იბრძოდა ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, იმათ წინააღმდეგ, ვისაც უნდოდა მიეღო მონაწილეობა მილიუკოვისა და კერენსკის დროებით მთავრობებში, ხოლო მეორე მხრივ — ბოლშევიკების წინააღმდეგ".

რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, „რომელმაც რუსეთში ხელისუფლების სათავეში მიიყვანა ორი პიროვნება — ლენინი და ტროცკი, ნოე ჟორდანია რუსეთის პროლეტარიატის ერთიანობის მომხრედ რჩებოდა. იგი თურქეთთან სეპარატული ზავისა და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების წინააღმდეგი იყო... და მხოლოდ იმის გამო, რომ ვერ ხედავდა სხვა გამოსავალს, არც ისე დიდი სურვილით, მაგრამ მაინც მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას და მისი ავტორიტეტი და პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკად — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, დაყოფის შემდეგ, მალე აღმოჩნდა ხელისუფლების სათავეში".

წერილის ავტორის აზრით, ნოე ჟორდანია ხალხში და მის თანამებრძოლთა შორის იმდენად პატივისცემითა და მეგობრული თანაგრძნობით სარგებლობს, რომ ასეთი საერთო აზრიც კი არსებობს: „თუ იგი დატოვებს თავის თანამდებობას, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას შეიძლება საშიშროება შეექმნას. საერთო აზრია, რომ იგი და მისი ქვეყანა ერთიანია".

ნოე ჟორდანია, ყოველთვის უჭერდა მხარს დასავლეთის ორიენტაციას, წერს წერილის ავტორი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვერ გაამართლა ვერც გერმანიისა და ვერც ინგლისის ორიენტაციამ, მას გული გაუტყდა და წამოაყენა ლოზუნგი: „ორიენტაცია ავიღოთ თვითონ ჩვენზე".

ნოე ჟორდანია არასოდეს არ ფიქრობდა თავის პირად ინტერესებზე და პირადი მიზნებისათვის არასოდეს არ უსარგებლია თავისი თანამდებობით. „მას ენთუზიაზმით და ნდობით, — წერს წერილის ავტორი, — უყვარს თავისი ხალხი და ხალხსაც უყვარს იგი. პროლეტარიატმა იცის, რომ იგი მისი ერთგული მეგობარია. იგი მასთან იყო წინა რეჟიმის დროს და ახლაც — სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის დროს, იგი მასთანაა".

„როგორც ორატორი — ამ ნიჭით ქართველი ხალხი ხომ მეტად დაჯილდოვებულია — ნოე ჟორდანია არ ბრწყინავს, მაგრამ იგი ლაპარაკობს მოკლედ და დამაჯერებლად და მიუხედავად მცირედი ენაბლუობისა, მას ყურადღებით უსმენენ და მხურვალედ ღებულობენ მის სიტყვებს. ამჟამად იგი ავადაა და მგონი, ძალიან ავად; ცხოვრობს განმარტოვებულად და ჩაკეტილად. ხალხში მხოლოდ დიდი ამბების დროს გამოდის. მიუხედავად ამისა, იგი რჩება ხელისუფლების სათავეში, თუმცა უფრო, როგორც სიმბოლო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკის გაგრძელებისა და არა როგორც ცენტრალური მამოძრავებელი ძალა. კრიტიკულ მომენტებში მისი რჩევა, როგორც წესი, იმარჯვებს".

და ბოლოს, წერილის ავტორი დაასკვნის: „თუ საერთოდ არსებობს დიდი პიროვნება, აქ, საქართველოს პოლიტიკური აღორძინების პერიოდში, ნოე ჟორდანია ყველაზე დიდი პიროვნებაა".

ნოე რამიშვილი

შემდეგ, წერილის ავტორი გადადის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის დახასიათებაზე, პიროვნებისა, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არამარტო საქართველოში, თავის კოლეგებს შორის, არამედ ევროპის პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში, სადაც მას იცნობდნენ და ანგარიშს უწევდნენ.

„თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში, — წერს წერილის ავტორი, — საქართველოსათვის, ასევე უდიდესი მნიშვნელობის პიროვნებაა საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი. ისიც არისტოკრატიული წრიდანაა და არის მნათობი საქართველოს უმაღლეს წრეებში. იგი არის დიდი მნიშვნელობის პიროვნება და ბრწყინვალე ორატორი".

პირველ ხანებში, ევ. გეგეჭკორი ეჭვით უყურებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, მაგრამ მისი საქმიანობა აქარწყლებს ამას და სრულიად საწინააღმდეგოს უჩვენებს. ადრე იგი რუსოფილი იყო, ახლა აქტიურად უჭერს მხარს ევროპის ორიენტაციას და ცდილობს ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის ქვეყნებთან. მას იცნობენ და დიდი პატივით ღებულობენ პარიზში, ლონდონში, თუ რომში.

1918 წლის მაისში, როდესაც საქართველოსა და გერმანიას შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა და საქართველომ გეზი გერმანიაზე აიღო, იგი განზე დადგა და დაუბრუნდა ხელისუფლებას, როცა საქართველომ ორიენტაცია აიღო ანტანტის ქვეყნებზე.

ევ. გეგეჭკორი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა — 40 წლის. იგი არის მაღალი კულტურის პიროვნება, ერის კაცი და ყოველთვის თავი უჭირავს ელეგანტურად, მაღალი, აღმოსავლური დახვეწილობით. ასე რომ, მისი პარტიული ამხანაგები მას უწოდებენ: „ჩვენი მილორდი".

მან, ცხოვრების მძიმე წლები გამოიარა: მისთვის არ იყო უცხო არც იძულებითი სამუშაოები და არც ციმბირი".

„დღევანდელი საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების დასაყრდენია შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. სკოლის ამ ყოფილი მასწავლებლისათვის ცნობილია ციმბირის მძიმე ცხოვრება, რომლის სიმკაცრემ მას მისცა ძალა პოლიტიკურ ცხოვრებაში". წერილის ავტორი მიუთითებს, რომ ნოე რამიშვილი არ არის არც გენიოსი და არც მაღალი კულტურის მფლობელი პიროვნება, მაგრამ იგი ფლობს საოცარ შეუპოვარ ძალას, დიდ ენერგიას. სწორედ ამან მისცა მას საშუალება გადაეტანა წინა რეჟიმის დროს დევნა და კარცერები.

იგი ყოველთვის მზად იყო პირისპირ შეხვედროდა ნებისმიერ სიძნელეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, არ ეშინოდა საფრთხისა და წინააღმდეგობების, „იგი ცხოვრობს ბრძოლაში, მგონი, იგი უფრო იოლად სუნთქავს, თუ ბრძოლა უფრო მკაცრია, სასტიკია და რისკიანი".

ნოე რამიშვილი იყო პირველი დუმის დეპუტატი, მაგრამ იგი იქ არ ბრწყინავდა, მისი რამდენადმე ცივი და გაჭიმული სიტყვების გამო. მაგრამ პარტიაში მას ჰქონდა დიდი წარმატება, რამდენადაც იცოდა ყველა გზა, რომელიც მუშის გულისაკენ მიდიოდა. მას შეეძლო მოფერებოდა და წაექეზებია მუშის გატაცება და ინსტინქტი.

ნოე რამიშვილი თავდადებული კაცი იყო თავისი სამშობლოსათვის. „არავის შეუძლია, — წერს წერილის ავტორი, — უარყოს, რომ ამ მოუსვენარ დროს, იგი წარმოადგენს იმ ადამიანს, რომელიც მუშაობს უდიდესი რწმენით და დიდი ეფექტით სამშობლოს გადარჩენისათვის და ეს მით უფრო საოცარია, რომ ადრე მას არ სჯეროდა მისი პატარა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისა".

მას დასვენებულს, უსაქმურს კაცი ვერ იხილავდა. ყოველ დილას, რვა საათზე, თავისი შავი, გაცვეთილი და გაბერილი პორტფელით ხელში, იგი მიდიოდა თავისი სამინისტროსაკენ, რომელიც წარმოადგენდა მისი გატაცების ცენტრს. საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეები მისდამი დამოკიდებულებაში ორად იყოფა: ერთს მისდამი აქვს დიდი სიყვარული, ხოლო მეორეს — სიძულვილი და ეს ცოტა როდია სკოლის მასწავლებლისათვის".

შემდეგ წერილის ავტორი მიუთითებს იმ სიძნელეებზე, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში, რომელთა გადალახვა უხდებოდა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას. „როცა მივუთითებთ შინაგან სიძნელეებზე, — წერს წერილის ავტორი,— არა მარტო ის, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ საბჭოთა პროპაგანდას, რომელიც გარედან შემოდის და რომელსაც ახორციელებს, საქართველოს მთავრობის აზრით, კიროვის მისია, არამედ საჭიროა გადალახულ იქნეს არა ერთი სიძნელე, რომელიც დაკავშირებულია ბათუმის ოკუპაციასთან".

წერილის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქვეყნის ფინანსურ სიძნელეებს, რომელიც სულ უფრო იზრდებოდა. ეს პრობლემაც შინაგან საქმეთა მინისტრს ჩააბარეს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. რაც შეეხებოდა ქვეყნის საგარეო მდგომარეობას, აქ წერილის ავტორი პირველ რიგში მიუთითებდა ბოლშევიკების საშიშროებაზე, რომლებიც ორ მხრიდან უახლოვდებოდნენ საქართველოს. — ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან (ბაქო უკვე საბჭოების ხელში იყო). ეს საშიშროება, ავტორის აზრით, უკავშირდებოდა შინაგან — ბოლშევიკურ პროპაგანდას და, თუ საქართველოს მთავრობა ძალიან მკაცრ ზომებს მიიღებდა ამ პროპაგანდისა და მისი პარტიის წინააღმდეგ, ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა მეათე არმიის შემოსვლა მეორე მხრიდან. ასეთი იყო პოლიტიკური ვითარება საქართველოში 1920 წლის ივლისისათვის.

●

1920 წლის 21 სექტემბერს, იტალიის მთავრობამ თავის პოლიტიკურ წარმომადგენლად საქართველოში დანიშნა რაინდი ვიტორიო ჩერუტი. იგი ამ დროს უნგრეთში, იტალიის საელჩოში მუშაობდა. ჯერ იყო საელჩოს მრჩეველი, ხოლო შემდეგ — იტალიის პოლიტიკური კომისარი უნგრეთში.

ნოე ჟორდანია

მალე, საქართველოს მთავრობამაც გადადგა საპასუხო ნაბიჯი. იმავე წლის 3 ოქტომბერს, ნ. ჟორდანიამ და ევ. გეგეჭკორმა წერილით მიმართეს იტალიის მთავრობას. წერილში ნათქვამია: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ამით ადასტურებს, რომ ბატონ კონსტანტინე საბახტარიშვილი ინიშნება საქართველოს მთავრობის საგანგებო დესპანად და სრულუფლებიან მინისტრად მისი უდიდებულესობის იტალიის მეფის მთავრობის წინაშე.

ამ წოდებით მას შეუძლია იმუშაოს ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა საკითხებში და ასევე დადოს ნებისმიერი ხელშეკრულება და შეთანხმება. ამის დასადასტურებლად მას ჩაბარდა რწმუნების სიგელი სათანადო ხელმოწერით და ბეჭდის დასმით.

საქართველოს მთავრობა გთხოვთ აღმოუჩინოთ ბატონ საბახტარიშვილს სრული ნდობა და ცნოთ ყველა განცხადება, რომელსაც იგი გააკეთებს რესპუბლიკის მთავრობის სახელით".

წერილს ხელს აწერდნენ: საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია და საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი.

თბილისსა და რომში, ასეთი წარმომადგენლების დანიშვნა ოფიციალურად გამოცხადდა, მაგრამ ერთიც და მეორეც ჯერჯერობით ადგილზე რჩებოდა. კ. საბახტარიშვილი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის როლს ასრულებდა საქართველოში, ხოლო ამიერკავკასიაში იტალიის სამხედრო მისიის წევრმა ფრანსონიმ, 15 ოქტომბერს ოფიციალურად აცნობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვიტორიო ჩერუტის დანიშვნა პოლიტიკურ წარმომადგენლად საქართველოში და დაპირდა, რომ მისი ჩამოსვლის თარიღს დამატებით აცნობებდა.

19 ოქტომბერს, კ. საბახტარიშვილმა აცნობა იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მხურვალე სიმპათიით მიიღო ბატონ რაინდი ვიტორიო ჩერუტის დანიშვნა იტალიის პოლიტიკურ წარმომადგენლად საქართველოში".

ამავე დროს, საქართველოსა და იტალიას შორის მიმდინარეობდა სხვადასხვა საკითხებზე მოლაპარაკება და დელეგაციების გაცვლა-გამოცვლა. იტალიაში იყო საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური დელეგაცია ვლადიმერ ვოიტინსკის მეთაურობით, ხოლო საქართველოში ისეთივე სახის დელეგაცია სენატორ კონტის მეთაურობით. მოლაპარაკებების შედეგად, შედგა სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა იტალიიდან კრედიტის მიღებას 35 მილიონი იტალიური ლირის რაოდენობით ხუთი წლის ვადით. მისი გადახდა მოხდებოდა ძირითადად საქონლით — ნედლეულით (მანგანუმი, ქვანახშირი, თამბაქო), წელიწადში კრედიტის 1/5-ის დაფარვით.

საქართველოს იტალიიდან უნდა მიეღო ორთქმავლების, ვაგონებისა და რკინიგზის სხვა შემადგენლობის ნაწილები. დაზგები, მატყლსართავი, საქსოვი და აბრეშუმსახვევი ფაბრიკებისათვის. სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ფოთის ნავსადგურის შრომისუნარიანობის ამაღლების მიზნით, იტალიის მხარეს უნდა ეკისრა პორტის გარეთ, ორ ადგილას ნავსადგურის სასმელი წყალსადენი მილებისა და ელექტრომოწყობილობის შეკეთება და სხვა.

მაგრამ, საქართველოსთვის ახლა მთავარი საკითხი იყო მისი დამოუკიდებლობის დე იურე ცნობა და სწორედ ამისთვის უნდოდა საქართველოს მთავრობას იტალიის გამოყენება. 24 დეკემბერს ევ. გეგეჭკორმა შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს კარლო სფორცას: **„თქვენო აღმატებულებავ, უკვე მქონდა პატივი, როგორც თქვენთან პირადი საუბრის დროს, ისევე, იტალიის მეფის მთავრობის თავმჯდომარე პატივცემულ ბატონ ჯოლიტისთან საუბრის დროს, გამომეხატა ქართველი ხალხის მადლობის გრძნობა თქვენი ქვეყნის მიმართ, რომელმაც დიდ სახელმწიფოებს შორის პირველმა შეძლო გაეგო მისი იმედები და გაეწოდებინა მისთვის დახმარების ხელი.**

ჩემთვის საკმაოდ ცნობილია თქვენი აქტიური მოქმედება უმაღლეს საბჭოში საქართველოსადმი დახმარების აღმოჩენის საქმეში; საქართველოს კანონიერ მისწრაფებაზე, ეხილა მისი საერთაშორისო სტატუსი იურიდიულად საბოლოოდ ცნობილი. საქართველო ახევე აფასებს ერთა ლიგის პირველ ასამბლეაში იტალიის წარმომადგენელ ბატონ სკანცერის მიერ წარმოთქმულ, პოლიტიკური სიბრძნით აღსავსე სიტყვას, სადაც იგი მოითხოვდა დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ მიეღოთ საქართველოს რესპუბლიკა ერთა ლიგის წევრად. მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ამ ასამბლეაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა იტალიის გრძნობა ჩემი ქვეყნის მიმართ.

ამასთანავე, საქართველოს მდგომარეობა მავალდებულებს მივმართო თქვენს აღმატებულებას დაჟინებითი თხოვნით, გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯი, რომელიც იქნება ლოგიკური შედეგი იმ პოზიციისა, რომელიც იტალიამ დაიკავა საქართველოს საკითხში; შედეგი თქვენი და განსაკუთრებით თქვენი წარმომადგენლის მრავალრიცხოვანი განცხადებისა ჟენევაში.

იტალიამ უნდა აიღოს თავის თავზე საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დე იურე ცნობის ინიციატივა, დაადასტურებს რა ამით პოლიტიკას, რომელსაც იცავდა იტალიის დელეგაცია ერთა ლიგაში.

უარი თქვა რა ასამბლეამ წინადადებაზე, რომელიც იტალიის დელეგაციამ წარადგინა საქართველოს შესახებ და გადადო საქართველოს მიღება, ამით ასამბლეამ უარი თქვა შეეტანა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო სტატუსში ის გაუმჯობესება, რომელსაც იგი მოელოდა და რომლის მიღების უდაო უფლება მას ჰქონდა.

ევგენი გეგეჭკორი

როგორი მოტივებიც არ უნდა იყოს მოტანილი ასამბლეის მიერ ამ გადაწყვეტილების გასამართლებლად, საქართველოს მტრებს მაინც შეუძლიათ შეაფასონ იგი, როგორც ერთა ლიგის უარი, მხარი დაუჭირონ, მორალურადაც კი, ახალ რესპუბლიკას. ასეთ გადაწყვეტილებას შეუძლია წააქეზოს ისინი დაიწყონ აგრესიული მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ.

ასეთ ვითარებაში, არ ვწყვეტთ რა ჩვენი ძალების მზადებას თავდაცვისათვის, ჩვენ უნდა მივმართოთ ყველა მეგობარ ქვეყანას, რათა შევაგულიანოთ ისინი მიიღონ საჯარო აქცია, რომელიც შეუძლებელს გახდის ჟენევაში მიღებული გადაწყვეტილების დამღუპველ შედეგს საქართველოსთვის. ეს აქცია შეიძლება იყოს მხოლოდ ჩვენი დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ დე იურე ცნობა.

აიღებს რა თავის თავზე მსგავსი აქციის ინიციატივას იტალია, ამით იგი აღმოუჩენს ქართველ ხალხს უდიდეს სამსახურს, რასაც ეს ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს".

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამ ყოველმხრივ დასაბუთებულმა წერილმა, მიზანს სულ მალე მიაღწია. ევ. გეგეჭკორის ეს წერილი, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლო სფორცამ, რომელიც საქართველოსადმი კარგად იყო განწყობილი, წარადგინა პარიზში დიდი სასახელმწიფოების მორიგ კონფერენციაზე 1921 წლის 26 იანვარს. 27 იანვარს (ძვ. სტილით 14 იანვარს — წმ. ნინოს დღეს) გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის იურიდიულად ცნობა და 28 იანვარს, ევ. გეგეჭკორმა მიიღო ორი დეპეშა: ერთი კარლო სფორცას, ხოლო მეორე, დიდი სახელმწიფოების კონფერენციის თავმჯდომარის, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის არისტიდ ბრიანის ხელისმოწერით.

აი ორივე დეპეშის შინაარსი. პირველი: **„თანახმად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ დაყენებული საკითხისა, გუშინ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის დე იურე ცნობის შესახებ. კარლო სფორცა"** და მეორე **„გაცნობებთ რა თავაზიანად თქვენი წერილი კონფერენციას, უკანასკნელმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ეცნო საქართველოს მთავრობა დე იურე. მოკავშირე სახელმწიფოები ბედნიერნი არიან კიდევ ერთხელ დაგიდასტურონ თავიანთი თანაგრძნობა, რომლითაც ისინი ხვდებოდნენ ქართველი ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ და ასევე დაგიდასტურონ უკვე მიღებული გადაწყვეტილებით გამოწვეული თავიანთი აღტაცება. არისტიდ ბრიანი".**

გარდა ამისა, კარლო სფორცა ევ. გეგეჭკორს არწმუნებდა, რომ იტალია წინანდებურად მიმართავს ყველა ზომას, რათა მხარი დაუჭიროს საქართველოს დამოუკიდებლობას და, რომ ამასთანავე, იტალიის მეფემ ვიქტორ ემანუილ III-მ გადაწყვიტა, უკვე თბილისში მყოფ ვიტორიო ჩერუტის დეპეშით გაუგზავნოს საგანგებო მინისტრის ნდობის სიგელი, საქართველოს მთავრობისადმი წარსადგენად.

ვიტორიო ჩერუტი, 27 იანვარს, საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურედ ცნობის შესახებ კარლო სფორცასაგან პარიზიდან მიღებული დეპეშით ხელში, მაშინვე გაემართა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიასაკენ, ხოლო ამ უკანასკნელმა ეს დეპეშა გააცნო დამფუძნებელი კრების წევრებს, სადაც სტუმრად მიიწვიეს რაინდი ვიტორიო ჩერუტი. მთავრობის თავმჯდომარემ და დამფუძნებელმა კრებამ დიდი კმაყოფილება და მადლობა გამოხატა იტალიის მთავრობისა და კერძოდ მისი საგარეო საქმეთა მინისტრის კარლო სფორცას მიმართ. ვიტორიო ჩერუტი ატყობინებდა რა ყოველივე ამას თავის მინისტრს, დასძენდა: **„ქართველი ხალხი ზეიმით ხვდება ამ ცნობას, მთელი ქალაქი ზეიმობს, ქუჩებში და მოედნებზე გაისმის შეძახილები: „დიდება საქართველოს! დიდება იტალიას!".**

ევ. გეგეჭკორმა მიიღო ვიტორიო ჩერუტი და განუცხადა, რომ ამიერიდან მას თვლის იტალიის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში და ასევე იტალიაში გაემგზავრება საქართველოს ელჩი, სრულუფლებიანი მინისტრის წოდებით.

ასე დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსა და იტალიას შორის, მაგრამ მათ წარმომადგენლებს არ მიეცათ საშუალება ეკეთებინათ ორივე ხალხისათვის სასარგებლო საქმეები — ოციოდე დღის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელიც ცნო ვერსალის უმაღლესმა საბჭომ (ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა) და ასევე საბჭოთა რუსეთმაც, 1921 წლის 25 თებერვალს, ოკუპირებულ იქნა წითელი არმიის მიერ და ფაქტობრივად ანექსირებული საბჭოთა რუსეთის მიერ.

ილია ტაბაღუა

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 15 (85), № 18 (88).

გამოსათხოვარი

მერაბ კვიტაშვილი

ორიოდე კვირის წინ ბატონი გივი კობახიძე მესაუბრა ამერიკიდან. რაკი მერაბ კვიტაშვილის ავადმყოფობის ამბავი ვიცოდი და ბატონი გივი ჩვენი მეგობრობის და საერთო გეგმების საქმის კურსში იყო, ვკითხე, როგორ არის-მეთქი.

— ძალიან ყოჩაღად, და ზუსტად გუშინ გამოჯანმრთელება მივულოცეთ, მაგრამ, ვითომ ხუმრობით, ისეთი უცნაური რამ მითხრა, გუნება წამიხდა.

გამიგია, სიკვდილის წინ კაცს მხნეობა უბრუნდება და ვშიშობ ჩემი გამომჯობინებაც სიკვდილის წინამორბედი არ იყოსო...

ასე ასრულდა მისი ყველაზე უნუგეშო წინასწარმეტყველება. მერაბ კვიტაშვილის სახით საქართველომ დაკარგა მის ხვედრზე მაფიქრალი და გარჯილი რაინდი, ამერიკის ქართველმა ემიგრაციამ — ერთ-ერთი ბურჯი, ნაცნობებმა — კეთილშობილი ჯენტლმენი, ქალიშვილებმა, ელისომ და მერიმ — ძვირფასი მამა...

მართალია, მერაბ კვიტაშვილს მხოლოდ შარშან შევხვდი, მაგრამ ჩვენი ხანმოკლე მეგობრობა უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

იმავე წელს ქართველი მკითხველი პირველად გაეცნო მის „თეირანის კონფერენციას" და „ფიქრებს საქართველოს მომავალზე".

სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მისი მემუარების მარტო ამ ორი ფრაგმენტიდანაც ჩანს, თუ რა აუნაზღაურებელი დანაკლისია საქართველოსთვის ამ ქვეყნიდან მისი წასვლა. წავიდა ჩვენგან XX საუკუნის ისტორიის უდიდესი პროტაგონისტთა თვითმხილველი, ქართლის ბედზე ჩერჩილთან ნალაპარაკევი მოჰიკანი. მსოფლიოს ბედზე XX საუკუნის უდიდესი სამეულის: ჩერჩილის, რუზველტის, სტალინის ერთ დარბაზში საუბრისა და განსჯის მოწმე.

მას გავლილი ჰქონდა პოლიტიკური სიტუაციების ანალიზის უდიდესი პროფესიული სკოლა, ჰქონდა ალღო, გამოცდილება, იცნობდა ზუსტი ინფორმაციების წყაროებს და იყო ქართლის ბედის გლობალურ ისტორიულ კონტექსტში გააზრების ჭეშმარიტი ვიზიონერი.

განსაკუთრებით ჩვენი არსებობის ამ ძნელბედობის პროცესში ძალიან, ძალიან საჭირო იყო ჩვენთვის მისი ფხიზელი გონება. არასოდეს დამავიწყდება მისი გაბრწყინებული სახე, ამერიკის კონგრესში ჩემი მიწვევა რომ შეიტყო.

რადგანაც ამგვარ სიტუაციაში ყოფნის არავითარი გამოცდილება არ გამაჩნდა, ძალიან ვღელავდი. არ ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, ან რას ნიშნავდა თავად ეს მიწვევა, და გამოტეხილად შევჩივლე, რას მირჩევთ-მეთქი.

ბატონმა მერაბმა მამაშვილურად დამიყვავა და მითხრა:

— არაფერი, გოგი. ეცადე ისეთი იყო, როგორიც ხარ. ნურაფერს მოინდომებ ზედმეტს თხოვნის მხრივ, რადგან გლობალური კონტექსტით ეს არარეალურია. ნუ ეცდები ამერიკელს. მით უმეტეს, პროფესიონალ პოლიტიკოსს თავს მოახვიო საქართველოს პრობლემები, თუ ეს მათივე ინტერესებით არ იქნა ნაკარნახევი. თუ ამგვარ ტონალობას შეინარჩუნებ, დანარჩენს თავად სიტუაცია გიკარნახებს და თქვენ იცით და თქვენმა ბიჭობამ...

მეტი რაღა უნდა ერჩია...

როდესაც მისი მემუარების ფრაგმენტები გამოვაქვეყნე, შევუთვალე, თუ მათი ცალკე წიგნად გამოცემამდე ჩემი შესავალი წერილის მიმართ რაიმე შენიშვნები ჰქონდა, გაეზიარებინა.

შემომითვალა: ერთადერთი შენიშვნა მაქვს და გაასწორეო.

შენ აღნიშნავ, რომ მე დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვის ერთ-ერთ სამმართველოს ვხელმძღვანელობდი. არ არის სწორი. კონტრდაზვერვაში არასოდეს მიმსახურია და არც არასოდეს მიზიდავდა. მე ინგლისის კონტრდაზვერვის კი არა, სამხედრო დაზვერვის ერთ-ერთ სამმართველოს ვხელმძღვანელობდი.

მათ შორის კი, განსხვავებაა.

ძალიან მიხარია, და თავადაც ბავშვივით იყო გახარებული, რომ სანთელ-საკმეველივით მოესწრო თავისი ნაფიქრის და ნაწერების თუნდაც ფრაგმენტის ქართულად გამოქვეყნებას.

ძალიან, ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოესწრო უკვე დასაბეჭდად გამზადებული მისი წიგნის გამოცემას.

წარმომიდგენია, როგორ გაიხარებდა...

მერაბ კვიტაშვილი 17 წლის ჭაბუკი წავიდა საქართველოდან. განათლება მიიღო ჯერ ოქსფორდის, მერე კი ბირმინგემის სამთამადნო ინსტიტუტში. იყო მეტალურგი. ომის დროს მოხალისედ წავიდა ინგლისის ჯარში. მსახურობდა დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვაში. მონაწილეობა მიიღო თეირანის კონფერენციაში. მოგვიანებით გადასახლდა ამერიკაში და ხელმძღვანელობდა ამერიკის ხმის ქართულ რედაქციას.

გავიდა პენსიაზე და აღწერა ქართლის ბედით გულგახერილი ადამიანის თავგადასავალი...

ქართლის ბედით კიდევ ერთი გულგახერილი ქართველის ფერფლი დაეყარა უცხოეთის მიწას...

საუკუნო იყოს ხსენება მისი...

გიორგი გაჩეჩილაძე.

სხვადასხვა

კიდევ ერთი ერთობლივი საწარმო

16 იანვარს, საქართველოს საინფორმაციო კორპორაცია „მაცნე"-მ, საქველმოქმედო ფონდმა „საქართველო, საქართველო"-მ და ასოციაცია „საქართველო-ამერიკა-90"-მა, ხელი მოაწერეს წინასწარგანზრახულობის ოქმს თბილისში ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ ამერიკულ ფირმა „ინტერნეიშნლ ტელსელ გრუპ"-თან, საქართველოში საეთერო-საკაბელო ტელევიზიის შექმნის თაობაზე.

პროგრამა ითვალისწინებს ევროპისა და ამერიკის 6 ძირითადი და 3 დამატებითი არხის ტელეგადაცემების ჩვენებას საქართველოს რესპუბლიკაში.

ამერიკული მხარე, თავის თავზე იღებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემოტანას, ხოლო ქართული მხარე — მის მონტაჟსა და ექსპლოატაციას.

კონტრაქტით გათვალისწინებულია შესაბამისი ტელეგადაცემების სინქრონული თარგმანი. ამერიკელები უზრუნველყოფენ ქართველების მიერ გადაღებული ვიდეომასალის ჩვენებას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პროგრამა ექსპლოატაციაში ხელისმოწერიდან ექვსი თვის განმავლობაში უნდა შევიდეს.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საქართველოს მხრიდან ბატონები ვახტანგ ბახტაძე — საქართველოს საინფორმაციო კორპორაცია „მაცნე"-ს გენერალური დირექტორი, გიორგი ხუხაშვილი — გენერალური დირექტორის მოადგილე, თემურ ფიჩხაია — საქველმოქმედო ფონდი „საქართველო, საქართველო"-ს პრეზიდენტი, ზვიად კვასხვაძე — ვიცე-პრეზიდენტი, რამაზ ბერიძე — საქველმოქმედო ფონდ „საქართველო, საქართველოს" საერთაშორისო იურისტ-ექსპერტი, პროფესორი გენადი მაქაცარია ასოციაცია „საქართველო-ამერიკა-90"-ის პრეზიდენტი, დიმა კოზლოვსკი — „საქართველო-ამერიკა-90"-ის გამგეობის წევრი.

გაიხსნა საქართველოს მილიციის ფონდი

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო გაცნობებთ, რომ სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველოში გაიხსნა საქართველოს რესპუბლიკის მილიციის სპეციალური ფონდი, რომლის ანგარიშის ნომერია 000701301. აღნიშნულ ანგარიშზე შემოსული ფული უწინარესად მოხმარდება შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, შინაგან საქმეთა ორგანოების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას, გარდაცვლილ თანამშრომელთა ოჯახების დახმარებას და ა. შ.

დამატებით გაცნობებთ, რომ ფულადი სახსრები, რომლებიც ცალკეულმა მოქალაქეებმა და ორგანიზაციებმა ჩააბარეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საფინანსო-საგეგმო სამმართველოში, დაუყოვნებლივ იქნება ჩარიცხული აღნიშნულ ანგარიშზე.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო

ამინდი

ზამთარიც მიიწურა

დადგა თებერვალი — ზამთრის ბოლო თვე. ტემპერატურული რეჟიმის მიხედვით თებერვალი იანვრისაგან მცირედ განსხვავდება, მაგრამ საშუალოდ, მაინც მასზე თბილია. კლიმატური მაჩვენებლით თებერვლის პირველი ნახევარი შედარებით გრილია, მეორე ნახევარში კი, მზის პირდაპირი რადიაციის ზრდასთან ერთად ჰაერის ტემპერატურაც მატულობს. თებერვლის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში მერყეობს 4-7 გრადუსის ფარგლებში, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — 1 გრადუსი ყინვიდან 3 გრადუს სითბომდე, ხოლო რესპუბლიკის მთიან და მაღალმთიან რაიონებში 1-დან 6 გრადუს ყინვამდე, თუმცა ცალკეულ წლებში იგი მკვეთრად განსხვავდება აღნიშნული საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობისაგან. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი ბარში აღწევს 21-27 გრადუს სითბოს, აბსოლუტური მინიმუმი კოლხეთის დაბლობზე იკლებს 8-16 გრადუს ყინვამდე, ხოლო ქართლის ვაკესა და კახეთში — 11-დან 25 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში მერყეობს 120-დან 210 მმ-დე, აღმოსავლეთ საქართველოში — 20-დან 60 მმ-მდე.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, წლევანდელ თებერვალში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში მოსალოდნელია 5-7, მთიან რაიონებში — 0-2 გრადუსი სითბო, მაღალმთიან რაიონებში 3-4 გრადუსი ყინვა, რაც საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობას უახლოვდება. თვის პირველ დეკადაში ნავარაუდევია აცივება და ამ დროს შესაძლებელია ტემპერატურამ დაიკლოს ღამით ბარში 2 გრადუსი სითბოდან 3 გრადუს ყინვამდე, მთაში 4-9 გრადუს ყინვამდე, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 10-15 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა სანაპირო და ჩრდილოეთის მთიან რაიონებში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე ნაკლები, დანარჩენ რაიონებში უმეტესად მასთან ახლოს.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე 1-2 გრადუსით მაღალი, ბარში იქნება 1-4 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ერთი გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო, მაღალმთიან რაიონებში 3-7 გრადუსი ყინვა. თვის ცალკეულ დღეებში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით ბარში 1 გრადუსი სითბოდან 4 გრადუს ყინვამდე (შიდა ქართლში 5-7 გრადუს ყინვამდე), მთიან რაიონებში 6-10, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 14-19 გრადუს ყინვამდე, ნალექების რაოდენობა ჩრდილოეთ რაიონებში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობასთან ახლოს, დანარჩენ რაიონებში — მასზე მეტი.

პირობები სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოზამთრებისათვის დამაკმაყოფილებელი იქნება.

საქართველოს მდინარეთა წყლიანობა თებერვალში მოსალოდნელია ნორმასთან ახლოს.

ნიკოლოზ ბერაძე,
ჰიდრომეტცენტრის უფროსი.

განცხადება

გელით ტაძართან

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის" სათნოების ორდენი შეახსენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს კვირაში ერთი დღე თავის გაჭირვებულ თანამოძმეს დაუთმოს, რომ ორდენის წევრები ტრადიციულად იკრიბებიან ქაშვეთის ტაძრის ეზოში, შაბათს, 11 საათისათვის.

ყველაზე გაჭირვებული ჩვენი თანამოქალაქეებისათვის სამყოფ პროდუქტებს თავიანთი პირადი დანაზოგიდან ამ დღეს შეიძენენ ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები.

სათნოების ორდენი
(ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი").

დელეგატთა საყურადღებოდ!

7 თებერვალს 12 საათზე ჭადრაკის სასახლეში მ. კოსტავას ქ. № 37 (ვერის ბაღი) გაიმართება საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VIII ყრილობა. დელეგატთა რეგისტრაცია და საყრილობო მასალების გაცნობა 10 საათიდან. საზოგადოების ადგილობრივმა საბჭოებმა უზრუნველყონ დელეგატთა გამოცხადება.

ყრილობის საორგანიზაციო კომისია.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-38;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხიმშიაშვილის ქ. № 29.
შეკვეთა [illegible]

საქართველოს რესპუბლიკა